



საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი  
1922 წლიდან

გიორგი მეტრეველი

თელავის მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგების ქსელში  
მიმდინარე პროცესების გამოკვლევა და ეკოლოგიურად სუფთა  
ენერგოდამოუკიდებელი ელექტროსისტემის დამუშავება

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: „ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია“

შიფრი: 0713

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 0160, საქართველო

2022 წ.

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ფაკულტეტი: ენერგეტიკის

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გიორგი მეტრეველის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „თელავის მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგების ქსელში მიმდინარე პროცესების გამოკვლევა და ეკოლოგიურად სუფთა ენერგოდამოუკიდებელი ელექტროსისტემის დამუშავება“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2022 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები: პროფესორი მ. ქობალია

რეცენზენტი: \_\_\_\_\_

რეცენზენტი: \_\_\_\_\_

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022 წ.

**ავტორი:** გიორგი მეტრეველი

**დასახელება:** „თელავის მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგების ქსელში მიმდინარე პროცესების გამოკვლევა და ეკოლოგიურად სუფთა ენერგოდამოუკიდებელი ელექტროსისტემის დამუშავება“

**სადოქტორო პროგრამა:** ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ენერგეტიკის და ელექტროინჟინერიის დოქტორი

**სხდომა ჩატარდა:** \_\_\_\_\_

ინდივიდუალური პროცნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

## რეზიუმე

ბოლო ხუთი ათეული წლის განმავლობაში დედამიწაზე კლიმატის ცვლილების მყარი ტენდენცია შეინიშნება, რაც განახლებადი ენერჯის წყაროებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. 1986 წლის შემდეგ, საქართველოში, მათ შორის კახეთის რეგიონში, მცირე და საშუალო ჰიდროენერგეტიკული რესურსების მქონე მდინარეების უმეტესობაზე ჰიდროლოგიური დაკვირვებები აღარ განხორციელებულა, რის გამოც კახეთის რეგიონში არსებულ ბევრ მდინარეზე წყლის ნაკადის რესურსის შესახებ განახლებული ოფიციალური ინფორმაციები არ არსებობს. ამასთანავე, საქართველოში ჰელიოენერგეტიკულ რესურსებზე არსებული კვლევების უმეტესობაც ძალიან მოძველებულია, რადგან უმეტეს შემთხვევებში ენერგეტიკის სამინისტრო ძირითადად 1980-იანი წლების კვლევების შედეგებს ეყრდნობა. კლიმატური პირობების ცვლილებების გათვალისწინებით, ეს ძველი კვლევების შედეგები დღევანდელ მდგომარეობას ობიექტურად ვეღარ ასახავენ, შესაბამისად, ინვესტირების მხრიდან დაინტერესება ნაკლებია და ეს რესურსები აუთვისებელი რჩება. ამიტომ, ჩატარდა ექსპედიციური კვლევები თელავის და ახმეტის რაიონების მცირე და საშუალო სიმძლავრის მქონდე მდინარეებზე, რის დროსაც წლიურ ჭრილში მდ. ილტოს წყლის ნაკადის რაოდენობა განისაზღვრა. აგრეთვე, თელავის რაიონში მათემატიკური მოდელის გამოყენებით, კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე, წლიურ ჭრილში მზის რადიაციის რაოდენობა დადგინდა.

თელავის რაიონის ჰიდროენერგეტიკული და ჰელიოენერგეტიკული რესურსების მოკვლევის შემდეგ, კახეთის რეგიონის და თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის მდგომარეობა შემოწმდა, რის დროსაც ელექტროენერჯის გამომუშავება-მოხმარების ბალანსი და სიმძლავრის წლიური დანაკარგების მნიშვნელობები დადგინდა - თელავის რაიონი კახეთის რეგიონში ყველაზე მეტ ელექტროენერჯას მოიხმარს. ამასთანავე, ამჟამად, თელავის რაიონში მხოლოდ ორი მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური ფუნქციონირებს, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ თელავის რაიონში ელექტროენერჯის მოხმარების ძირითადი ნაწილი მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელიდან შემოდის, რაც სიმძლავრის დანაკარგებთან არის დაკავშირებული. 2021 წელს საქართველოს მასშტაბით სიმძლავრის დანაკარგების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კახეთში დაფიქსირდა (5.4%), საიდანაც თელავის რაიონის რაოდენობრივმა წილმა, სხვა რაიონებთან შედარებით, ყველაზე მეტი 25% შეადგინა.

მაღალი ძაბვის გარე ელექტრომომარაგების ქსელზე დამოკიდებულება, თელავის რაიონს ელექტრომომარაგების საიმედოობისა და ენერგოუსაფრთხოების პრობლემებსაც უქმნის, რადგან უამინდობის და სისტემური ავარიების დროს მაღალი ძაბვის ქსელი ითიშება და თელავის რაიონი ელექტროენერჯის გარეშე რჩება. ამიტომ, სიმძლავრის დანაკარგების შემცირების და ზემოთ ნახსენები პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, თელავის რაიონში ჰიდრო და

მზის ელექტროსადგურები დაპროექტდა. ჰიდროელექტროსადგური წყლით ზემო ალაზნის საირიგაციო მაგისტრალური არხით მომარაგდება. ამჟამად, ამ არხის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი სრულად ათვისებულია. ამიტომ, სოფ. ჩაჩხრიალასთან ახლოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა უნდა მოეწყოს, რათა მდ. ილტოს წყლის ნაკადის გარკვეული რაოდენობა ამ არხში შემოვიდეს და ქ. თელავში საპროექტო ჰიდროელექტროსადგურამდე ჩამოდინდეს. ამ ჰიდროელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 15 მგვტ, ხოლო მზის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 11 მგვტ იქნება.

ჰიდროელექტროსადგურის საგენერატორო შენობაში 35კვ ძაბვის ქვესადგური დაპროექტდა, სადაც ამ ორი ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეიკრიბება და საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ბალანსზე არსებულ 35კვ ძაბვის ქვესადგურ „კურდღელაური-35-ს“ 35 კვ ძაბვის მიწიქვეშა საკაბელო არხით დაუკავშირდება. ამ ქვესადგურიდან ქვესადგურ „თელავი-110-მდე“ გამავალი 35კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „გულგულა-35“ უფრო მაღალი კვეთის ხაზით უნდა შეიცვალოს, რათა საპროექტო ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მაღალი ძაბვის ქსელში საჭიროებისამებრ გადანიჭილდეს.

ჰიდრო და მზის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია თელავის რაიონის მიერ ელექტროენერჯის მოხმარებას წელიწადის ექვსი თვის განმავლობაში (აპრილი-სექტემბერი) სრულად უზრუნველყოფს, ხოლო დანარჩენი ექვსი თვის განმავლობაში (ოქტომბერი-მარტი) დღე-ღამის განმავლობაში 18 საათი (00:00-18:00) სრულად დააკმაყოფილებს, ხოლო დანარჩენი 6 საათი (18:00-00:00) მოხმარება გამომუშავებაზე მეტი იქნება და ელექტროენერჯის გარკვეული რაოდენობის მაღალი ძაბვის ქსელიდან შემოტანა გახდება საჭირო. ამ ორი ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის წლიური რაოდენობა 119,301,960 კვტ/სთ იქნება, რომელიც თელავის რაიონის ელექტროენერჯის წლიურ მოხმარებაზე 28,130,076 კვტ/სთ-ით მეტი იქნება. თელავის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის საიმედოობის გაზრდის მიზნით, საპროექტო ჰიდროელექტროსადგურს იზოლირებულ რეჟიმში მუშაობის ფუნქცია ექნება, რაც საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მაღალი ძაბვის ქსელში ავარიული გამორთვების დროს, თელავის რაიონს უწყვეტ რეჟიმში ელექტროენერჯით მომარაგების საშუალებას მისცემს.

კვლევამ აჩვენა, რომ საპროექტო ჰიდრო და მზის ელექტროსადგურების ქსელთან მიერთების შემდეგ, თელავის რაიონი ენერგოდამოუკიდებელი გახდება და კახეთის რეგიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის სიმძლავრის დანაკარგები დაახლოებით 4.05%-მდე შემცირდება.

## Abstract

The World has been facing a strong tendency of climate change during the last five decades, which deeply affects renewable energy resources. Since 1986, in Georgia, including the Kakheti region, hydrology observations have not been conducted on most rivers having small and medium hydrology resources. Therefore, nowadays, renovated information on those rivers is not available. Herewith, existing researches on solar energy resources are also outdated, because the Ministry of Energy of Georgia mostly refers to outcomes of a research made in the 1980s. Given changes in climate conditions, these old researches can not reflect the present situation properly, therefore, there is a lack of interest from investors and these renewable energy resources have remained inapplicable. That is why, expedition research has been conducted on rivers having small and medium hydrology resources in Telavi and Akhmeta municipalities, whereby the yearly amount of watercourse of a river Ilto has been determined. Also, in a specific area of Telavi municipality, the yearly amount of solar radiation has been estimated.

After research of hydro energy and solar energy resources in Telavi municipality, the condition of the high voltage electrical supply grid has been inspected, whereupon balance of electricity production-consumption and yearly power transmission losses have been determined – Telavi municipality consumes the highest amount of electricity in Kakheti region. Besides, in Telavi municipality, only two small hydropower plants have been functioning at the moment, which means, that in Telavi municipality the vast majority of electricity is transmitted from the external high voltage electrical grid, which is related to power transmission losses. In Georgia, in 2021, the highest amount of power transmission losses was stated in the Kakheti region (5.4%), wherefrom Telavi had the highest quantitative share of 25% out of all municipalities.

The dependency on external high voltage electrical supply grid raises difficulties of reliability of electricity supply and energy security to Telavi municipality because in the course of bad weather shortcuts and power grid systemic breakdowns, Telavi municipality remains without electricity. Therefore, due to the above-mentioned problems and to lower power transmission losses, solar and hydropower plants have been designed in Telavi municipality. The hydropower plant will be fed by the water flowing in the main channel of the Zemo Alazani irrigation system. At the moment, the hydrology of this system is fully utilized. For that reason, specific infrastructure should be organized near to village Chachkhriala, for some amount of water from river Ilto to be passed to this irrigation system and flown down to the designed hydropower plant in Telavi. Installed capacity of the hydropower plant will be 15 MW, whereas solar power plant – 11 MW.

35 kV substation has been designed in a powerhouse of the hydropower plant, where produced electricity of these two power plants will be collected. This

substation will be connected to a 35kv substation “Kurdgelaury-35” with a 35 kV underground cable. The existing overhead line between substations “Kurdgelaury-35” and “Telavi-110” should be replaced with a new one having a bigger conductor section, so for the produced electricity of the designed solar and hydropower plants to be transmitted to the high voltage power grid safely.

Produced electricity from the solar and hydropower plants will fully cover the electricity demand of Telavi municipality for six months (April-September), whereas during 24 hours of each day of remained six months, 18 hours will be fully covered (00:00-18:00), but another 6 hours (18:00-00:00) electricity consumption will be higher than production, thus, missing amount of electricity will be substituted by external high voltage power grid. The yearly amount of produced electricity from these two power plants will be 119,301,960 kWh, which will be more than the yearly electricity demand of Telavi municipality by 28,130,076 kWh.

The designed hydropower plant will be equipped with a function of black start to increase the reliability of the high voltage electrical supply grid of Telavi municipality, which allows the power plant of working in an isolation regime, so Telavi municipality will be supplied by electricity in the events of high voltage power grid systemic breakdowns and bad weather shortcuts.

Research showed, that after the grid connection of solar and hydropower plants, Telavi municipality will become energy independent and power transmission losses in the Kakheti region will be reduced to 4.05%.

## სარჩევი

შესავალი .....	15
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა .....	21
თავი 2. მეთოდოლოგია.....	27
2.1 საათობრივი მზის რადიაციის ანგარიში მათემატიკური მოდელის გამოყენებით.....	27
2.2 მზის ელექტროსადგურის სიმძლავრის განსაზღვრა მათემატიკური მოდელის გამოყენებით.....	31
2.3 ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრის განსაზღვრა .....	34
2.4 მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის შერჩევა .....	37
თავი 3. შედეგები და მათი განხილვა.....	39
3.1 კახეთის რეგიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის მოკვლევა .....	39
3.2 კახეთის რეგიონის ელექტროენერჯის მოხმარების მოკვლევა.....	41
3.3 თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის მოკვლევა .....	42
3.4 თელავის რაიონის ელექტროენერჯის მოხმარების მოკვლევა .....	43
3.5 თელავის რაიონში ჰიდრო რესურსების მოკვლევა .....	47
3.6 საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრა .....	52
3.7 ქ. თელავში მზის რადიაციის რესურსის მოკვლევა .....	60
3.8 საპროექტო მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრა .....	75
3.9 საპროექტო ჰიდრო და მზის ელექტროსადგურების ქსელთან მიერთება .....	87
3.10 საპროექტო ჰიდრო და მზის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული და თელავის რაიონის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ანალიზი.....	93
დასკვნა .....	100
გამოყენებული ლიტერატურა .....	103
დანართები.....	106
დანართი-1: სსე-სთვის მიწერილი წერილი .....	106
დანართი-2: სსე-დან გამოგზავნილი წერილი და დანართები .....	107



დანართი-3: VOITH-ის ტურბინა-გენერატორების საპასპორტე მონაცემები .....	115
დანართი-4: ELTAS წარმოებული ძალოვანი ტრანსფორმატორის ტექნიკური მონაცემები .....	118
დანართი-5: JA solar-ის წარმოებული მზის პანელის მონაცემები .....	120
დანართი-6: HUAWEI-ის წარმოებული ინვერტორის მონაცემები.....	122
დანართი-7: ELTAS-ს წარმოებული 0.8/10 და 10/35კვ ძაბვის ძალოვანი ტრანსფორმატორების მონაცემები.....	123
დანართი-8: 35კვ ძაბვის კაბელის ტექნიკური მონაცემები .....	126
დანართი-9: თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ქვესადგურების ცალხაზოვანი სქემები .....	129

## ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. კახეთის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები..	40
ცხრილი 2. კახეთის რეგიონში ექსპლუატაციაში გაშვებული ჰესები.....	40
ცხრილი 3. ხოლო ხუთი წლის კახეთის რაიონების ელექტროენერჯის მოხმარება.....	41
ცხრილი 4. თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ქვესადგურების კოორდინატები.....	42
ცხრილი 5. თელავის რაიონის 2017-2021 წლების ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარებები .....	45
ცხრილი 6. თელავის რაიონის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყოველი თვის ბოლო დღის დღე-ღამური საათობრივი დატვირთვის საპროგნოზო მონაცემები.....	46
ცხრილი 7. ექსპედიციური კვლევის შედეგები .....	51
ცხრილი 8. მდ. ილტოს წყლის ნაკადის რესურსები.....	52
ცხრილი 9. ქ. თელავში საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურის კოორდინატები.....	53
ცხრილი 10. ტურბინა-გენერატორების მწარმოებლების შემოთავაზებები ..	55
ცხრილი 11. საპროექტო ჰესის აგრეგატების დატვირთვის მაჩვენებლების და გამომუშავები ელექტრო ენერჯის რაოდენობა.....	58
ცხრილი 12. თელავის რაიონში არსებული ორი ჰესის და საპროექტო ჰესის მიერ საპროგნოზო გამომუშავებული და თელავის რაიონის მიერ საპროგნოზო ელექტროენერჯის მოხმარების ბალანსი.....	59
ცხრილი 13. საპროექტო მზის ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მზის რადიაციის რაოდენობა.....	61
ცხრილი 14. იანვრის თვის მზის რადიაციის შედეგები.....	62

ცხრილი 15. თებერვლის თვის მზის რადიაციის შედეგები .....	63
ცხრილი 16. მარტის თვის მზის რადიაციის შედეგები.....	64
ცხრილი 17. აპრილის თვის მზის რადიაციის შედეგები.....	65
ცხრილი 18. მაისის თვის მზის რადიაციის შედეგები .....	66
ცხრილი 19. ივნისის თვის მზის რადიაციის შედეგები.....	67
ცხრილი 20. ივლისის თვის მზის რადიაციის შედეგები .....	68
ცხრილი 21. აგვისტოს თვის მზის რადიაციის შედეგები.....	69
ცხრილი 22. სექტემბრის თვის მზის რადიაციის შედეგები.....	70
ცხრილი 23. ოქტომბრის თვის მზის რადიაციის შედეგები.....	71
ცხრილი 24. ნოემბრის თვის მზის რადიაციის შედეგები.....	72
ცხრილი 25. დეკემბრის თვის მზის რადიაციის შედეგები .....	73
ცხრილი 26. ნასას მონაცემების და მათემატიკური მოდელის შედარება.....	74
ცხრილი 27. საპროექტო მზის ელექტროსადგურის საშუალო გარემო ტემპერატურა (მზეზე).....	76
ცხრილი 28. მზის პანელის ტემპერატურის ცვლილება .....	81
ცხრილი 29. მზის პანელი ეფექტიანობის ცვლილება .....	82
ცხრილი 30. ერთი მზის პანელის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია .....	83
ცხრილი 31. საპროექტო მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია.....	86

<b>ცხრილი 32.</b> თელავის რაიონში არსებული ორი ჰესის და საპროექტო ჰესის და მზის ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ჯამური ელექტროენერჯია .....	95
<b>ცხრილი 33.</b> თელავის რაიონის ელექტროენერჯის გაცემა-მიღების ბალანსი .....	96
<b>ცხრილი 34.</b> თელავის რაიონის ელექტროენერჯის მოხამრების და საპროექტო ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის შედარება .....	98

## ნახაზების ნუსხა

ნახაზი 1. კახეთის რეგიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელი.....	39
ნახაზი 2. თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ქვესადგურების განლაგება ....	43
ნახაზი 3. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი .....	48
ნახაზი 4. მდ. ილტოსთან საპროექტო წყალმიმღების და საირიგაციო არხის განლაგება.....	50
ნახაზი 5. თელავში საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურის განლაგება .....	54
ნახაზი 6. VOITH-ს წარმოებული ტურბინა-გენერატორი .....	56
ნახაზი 7. JA solar-ის მიერ წარმოებული მზის კრისტალური პანელი.....	78
ნახაზი 8. საპროექტო ჰესის და მზის ელექტროსადგურების ცალხაზოვანი სქემა .....	87
ნახაზი 9. საპროექტო ჰესის, მზის ელექტროსადგურის, კაბელის და თელავის მაღალი ძაბვის ხაზების განლაგება.....	88
ნახაზი 10. 35კვ ძაბვის ქ/ს "კურდღელაური-35" .....	90
ნახაზი 11. ქ/ს "კურდღელაური-35"-ის სატრანსფორმატორო უკრედი და 35კვ ძაბვის სალტე .....	90
ნახაზი 12. თელავის რაიონის ქ/ს "თელავი-110" .....	91
ნახაზი 13. ქ/ს "თელავი"-ში 35კვ ძაბვის ეგზ "გულგულა-35"-ის სახაზო უჯრედი .....	92
ნახაზი 14. თელავის რაიონის ელექტროენერჯის მოხამრების და საპროექტო ელექტროსადგურების მიერ გამოძუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის შედარება .....	98

## მადლიერების გვერდი

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი სადოქტორო თემის ხელმძღვანელ პროფესორ მამუკა ქობალიას და ელექტრომობილარების ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროს პროფესორ ბადურ ჭუნაშვილს, რომლებმაც რჩევებითა და კონსულტაციებით ჩემი სადოქტორო ნაშრომის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს. ამასთანავე, მინდა მადლიერება გამოვხატო „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“, „თელავის კომპლექსური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის“ და „კახეთის მელიორაციის სამსახურის“ თანამშრომლების მიმართ, რომლებიც კახეთის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის და მდინარეების წყლის რესურსების მოკვლევაში დამეხმარნენ.

# შესავალი

## თემის აქტუალობა

მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, ელექტროენერჯის მოხმარების ზრდის პარალელურად მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების სისტემის მიმართ წაყენებული მოთხოვნებიც შესაბამისად იზრდება. პირველ რიგში, ეს ელექტროსისტემაში შემავალ ელექტროსადგურებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ სისტემებს ეხებათ. საქართველოს შემთხვევაში საყურადღებო არის განახლებად ენერჯიებზე მომუშავე ელექტროსადგურები (ჰიდრო, მზე), რადგან ამჟამინდელი მდგომარეობით ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერჯის დიდი წილი ჰიდროელექტროსადგურებზე მოდის, ხოლო მზის ელექტროსადგურების განვითარება საწყის ეტაპზეა.

საქართველოს ელექტრომომარაგების სისტემა ძირითადად ცენტრალიზებულია და ის ელექტროსადგურები, რომლებზეც ელექტროენერჯის გამომუშავების მნიშვნელოვანი წილი მოდის, ელექტროენერჯის დიდი მომხმარებლებიდან (ქალაქები, ქარხნები, ა.შ.) ტერიტორიულად შორს მდებარეობენ. ამის გამო, გრძელი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა ხდება საჭირო, რათა ამ ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია მომხმარებლამდე მივიდეს. ელექტრულ ქსელში შორ მანძილზე ელექტროენერჯის გადაცემას სიმძლავრის დანაკარგები ახასიათებს, რაც საერთო ჯამში საკმაოდ მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა და საქართველოს შემთხვევაში 2021 წელს 1.88 % შეადგინა [1].

2021 წელს საქართველოს რეგიონებიდან ელექტროენერჯის დანაკარგების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 5.4% კახეთში დაფიქსირდა, რადგან ამ რეგიონში ელექტროსადგურების რაოდენობა მცირეა და ელექტროენერჯის მოხმარების სრულად დასაკმაყოფილებლად სხვა რეგიონებიდან მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ქსელით

ელექტროენერჯის შემოტანა ხდება საჭირო. კახეთის რაიონებიდან ყველაზე მაღალი ელექტროენერჯის მოხმარებით თელავის რაიონი გამოირჩევა (26%). ამასთანავე, თელავის რაიონში მხოლოდ ორი მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური ფუნქციონირებს, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ეს რაიონი ძირითადად მაღალი ძაბვის ქსელიდან შემოტანილ ელექტროენერჯიაზე არის დამოკიდებული. შესაბამისად, კახეთის რეგიონში არსებული სიმძლავრის დანაკარგებიდან მეტი წილი თელავის რაიონზე მოდის და საერთო მოცულობის 25%-ს შეადგენს.

კახეთის რეგიონში, მათ შორის თელავის რაიონში, განახლებადი ენერჯორესურსების აუთვისებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი შესაბამისი კვლევების არარსებობაა. ეს განსაკუთრებით ეხება ჰელიოენერჯეტიკას, რადგან დღემდე, ენერჯეტიკის სამინისტრო მზის ენერჯეტიკული პოტენციალის 1980-იანი წლების კვლევებს ეყრდნობა [2]. ამ ძველი კვლევების შედეგები ამჟამინდელი მდგომარეობისგან განსხვავდება და რეალობას არ შეესაბამება. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კახეთში არსებული ჰიდრო რესურსებზეც ძირითადი ინფორმაცია საკმაოდ მოძველებულია, რადგან ამჟამად „კახეთის მელიორაციის სამსახური“ და „თელავის კომპლექსური მეტეოროლოგიური სადგური“ დაკვირვებებს მხოლოდ დიდ მდინარეებზე აწარმოებენ და საშუალო და პატარა მდინარეებს 1986 წლის შემდეგ აღარ აკვირდებიან. მსოფლიოში მიმდინარე კლიმატური პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე, კახეთის რეგიონში ჰიდროენერჯეტიკული რესურსების მდგომარეობაც მკვეთრად შეცვლილი იქნება. ამიტომ, 30 წლის წინანდელი კვლევების შედეგები გამოუსადეგარია და შესაბამისად, ინვესტორების მხრიდან დაინტერესებაც ნაკლებია. შედეგად, კახეთის განახლებადი ენერჯის რესურსები აუთვისებელი რჩება.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რომ თელავის რაიონში არსებული განახლებადი ენერჯის რესურსების რაოდენობა სწორედ განისაზღვროს. განახლებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ეკოლოგიურად სუფთა ენერჯოდამოუკიდებელი და



მდგრადი ელექტრომომარაგების ქსელი უნდა დაპროექტდეს, რათა საქართველოს ელექტრომომარაგების სისტემის დეცენტრალიზაციას ხელი შეეწყოს და თელავის რაიონის გარე ელექტრულ ქსელზე დამოკიდებულება და სიმძლავრის დანაკარგები შემცირდეს. ეს საჭიროება დისერტაციის თემის აქტუალობაზე ნათლად მიუთითებს.

### **კვლევის მიზანი და ძირითადი ამოცანები**

კვლევის მიზანს წარმოადგენს კახეთის რეგიონის და თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრულ ქსელში სიმძლავრის დანაკარგების შემცირება და თელავის რაიონის ეკოლოგიურად სუფთა ენერგოდამოუკიდებელი ელექტრომომარაგების ქსელის შემუშავება, რისთვისაც შემდეგი მიზნები დაისახა:

- კახეთის რეგიონის და თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელების არსებული მდგომარეობის შესწავლა;
- ელექტროენერჯის მიწოდება-მოხმარების ბოლო ხუთი წლის ანალიზი და სამომავლო პროგნოზების განსაზღვრა;
- გლობალური კლიმატური ცვლილებების ტენდენციის გათვალისწინებით თელავის რაიონის მდინარეების წყლის და მზის რადიაციის რესურსების მოკვლევა;
- ქ. თელავში მზის და ჰიდრო ელექტროსადგურების დაპროექტება და 35კვ ძაბვის ქსელთან მიერთება.
- თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების სისტემის ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა.
- საპროექტო ჰესის გენერატორების და მზის ელექტროსადგურის იზოლირებულ რეჟიმში მუშაობის ფუნქციის არსებობით, თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების სისტემის საიმედოობის გაზრდა.
- თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელში სიმძლავრის დანაკარგების შემცირება.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარებულია კახეთის რეგიონის და თელავის რაიონის ჰიდრო და ჰელიო ენერგეტიკული რესურსების ისტორიული ინფორმაციების ძიების და ექსპედიციური გამოკვლევების მეთოდით, ხოლო კახეთის რეგიონში ელექტროენერჯის გამომუშავება-მოხმარების ბალანსის დასადგენად კვლევა შესაბამისი უწყებებისადმი ოფიციალური წერილობითი კომუნიკაციით განხორციელდა. აგრეთვე, მზის და ჰიდრო ელექტროსადგურების დაპროექტების და ძირითადი ელექტრო მოწყობილობების შესარჩევად, ლოგიკური მსჯელობა და მათემატიკური მოდელის პრინციპები იქნა გამოყენებული, რომლის ანგარიშები “Microsoft Excel” კომპიუტერულ პროგრამაში შესრულდა.

## დისერტაციის მეცნიერული სიახლე

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევითი კომპონენტები, მეთოდოლოგია და შედეგები შემდეგ სამეცნიერო სიახლეებს მოიცავს:

- მზის რადიაციის სიდიდის, მდინარის ნაკადის სიდიდის, მზის და ჰიდრო ელექტროსადგურების სიმძლავრეების დასადგენი მათემატიკური მოდელის პრინციპები შემუშავდა და მოდელი “Microsoft Excel” კომპიუტერულ პროგრამაში შეიქმნა. ამ მოდელის ნებისმიერი სხვა კვლევებისთვის გამოყენება შესაძლებელია.
- 1986 წლის შემდეგ კახეთის რეგიონის ხუთი საშუალო მდინარის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის დეტალური გამოკვლევა პირველად მოხდა.
- თელავის რაიონში კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე მზის რადიაციის რესურსის მოკვლევა პირველად მოხდა.
- ქსელთან მიერთების ქვესადგურში სტატიკური კონდენსატორების ფილტრაციის ბლოკი არის გათვალისწინებული, რათა მზის ელექტროსადგურის მიერ ინვერტირებული ძაბვის მრუდის

არასინუსოიდალური ფორმის გასწორება მოხდეს და თელავის რაიონის ელექტრულ ქსელში არსებული რეაქტიული სიმძლავრე შემცირდეს.

- გამოვლინდა თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების სისტემის ხარვეზები, რის საფუძველზეც, მზის და ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებით, მისი საიმედოობის ამაღლება და ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევა პირველად გახდება შესაძლებელი.

### **ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება**

კვლევის მეთოდოლოგია, შედეგები და დასკვნები შემდეგი პრაქტიკული მიზნებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული:

- მაღალი ძაბვის ელექტრული ქსელების გამომუშავება-მოხმარების ბალანსის დადგენისთვის.
- მდინარეების წყლის რესურსების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის განსაზღვრისთვის.
- კონკრეტული ადგილმდებარეობის ჰელიოენერგეტიკული პოტენციალის განსაზღვრისთვის.
- მზის და ჰიდრო ელექტროსადგურების სიმძლავრეების სწორედ განსაზღვრისთვის.
- მზის და ჰიდრო ელექტროსადგურების მაღალი ძაბვის ღია და დახურული გამანაწილებელი ელექტრული მოწყობილობების შერჩევისა და მაღალი ძაბვის ქსელთან მიერთებისთვის.
- მაღალი ძაბვის ქსელში არსებული სიმძლავრეების დანაკარგების შემცირებისთვის.

### **ნაშრომის აპრობაცია**

ნაშრომის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი იქნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ელექტრომომხმარების ტექნოლოგიების დეპარტამენტში I, II

და III კოლოქვიუმებზე და დისერტაციის წინასწარ განხილვაზე. აგრეთვე, საერთაშორისო-ტექნიკურ კონფერენციაზე ორი მოხსენება გაკეთდა:

- 1) II საერთაშორისო-ტექნიკური კონფერენცია: „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“. მოხსენების თემა: „საქართველოში საათობრივი მზის რადიაციის ანგარიში მათემატიკური მოდელის გამოყენებით“, 07-10 დეკემბერი, 2020 წელი.
- 2) III საერთაშორისო-ტექნიკური კონფერენცია: „ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები“. მოხსენების თემა: „მზის ელექტრო სადგურის პროექტირება მათემატიკური მოდელის გამოყენებით“, 07-10 ივნისი, 2021 წელი.

#### ნაშრომის პუბლიკაცია

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი მასალები სამ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა:

1. გიორგი მეტრეველი. „საქართველოში საათობრივი მზის რადიაციის ანგარიში მათემატიკური მოდელის გამოყენებით“. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ენერჯია“. №4 (96)/2020. გვ. 106-110.
2. გიორგი მეტრეველი. „მზის ელექტრო სადგურის პროექტირება მათემატიკური მოდელის გამოყენებით“ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ენერჯია“. №2 (98)/2021. გვ. 151-156.
3. Giorgi Metreveli. “Design of a solar thermal power plan using mathematical model”. სამეცნიერო ჟურნალი „სამეცნიერო საინჟინრო სიახლენი“. №2 (93)/2021. გვ. 32-36.

## თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოვიყენე ქართველი და უცხოელი მეცნიერების კვლევები და „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2021-2031“.

საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების კვლევის დროს, ქართველი მკვლევარების მიერ შესრულებული ნაშრომები განვიხილე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჰელიო და ჰიდრო ენერგეტიკულ რესურსებზე ჩატარებული კვლევები ძალიან მწირია. ეს განსაკუთრებით ეხება აღმოსავლეთ საქართველოს, კონკრეტულად კახეთის რეგიონს, სადაც კვლევები მზის რადიაციის და საშუალო და მცირე სიმძლავრის მდინარეების შესახებ ან საერთოდ არ არსებობს, ან იმდენად მოძველებულია, რომ კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე ისინი ამჟამინდელ მდგომარეობას ოპტიმალურად ვეღარ ასახავენ. მაგალითად:

- დოქტორანტი ბაჩანა ფიფია სადისერტაციო ნაშრომში - „საქართველოს ძირითადი მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება არსებული ჰიდროლოგიური მონაცემების გათვალისწინებით“, საქართველოში არსებული მდინარეების ჰიდროლოგიური რესურსების მონაცემების დამუშავების დროს, 1936-1986 წლებში ჩატარებულ ჰიდროლოგიურ კვლევებს ეყრდნობა [3]. გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი კვლევა მდ. ილტოსთან არის დაკავშირებული, ამ ნაშრომში ამ მდინარის ჰიდროლოგიური მდგომარეობა მოვიძიე, საიდანაც დავასკვენი, რომ მკვლევარი, თანამედროვე კვლევების არარსებობის გამო, ჰიდროლოგიურ სადგურ საბუეს მიერ ჩატარებულ ძველ ჰიდროლოგიურ კვლევებს ეყრდნობა. ეს კვლევები იმდენად ძველია, რომ მათი გამოყენება თანამედროვე კვლევებში მიზანშეწონილი არ არის. შესაბამისად, მდ. ილტოზე და კახეთის რეგიონის სხვა საშუალო და მცირე

მდინარეებზე ჰიდროენერგეტიკის დარგის განვითარებისათვის თანამედროვე კვლევების ჩატარება უმნიშვნელოვანესია.

- დოქტორანტი სიმონ ბახტურიძე სადისერტაციო ნაშრომში- „საქართველოს ენერგორესურსების ათვისების პროგრამის დამუშავება სისტემის ენერგოეფექტურობისა და საიმედოობის ამალღების პირობებში“, ზემოთ აღნიშნულ პრობლემაზე უსვამს ხაზს და მაგალითისთვის დოქტორანტი ეკატერინე უკლებას სადისერტაციო ნაშრომს იხილავს: „საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარებისადმი სისტემური მიდგომა“ [4]. საქართველოში ჰიდროლოგიური რესურსების გარკვეულ ნაწილზე თანამედროვე კვლევების არ არსებობის გამო, დოქტორანტი ეკატერინე თანამედროვე კვლევებს ვერ ეყრდნობა, შესაბამისად, საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის რეალური მდგომარეობა შეუფასებელი რჩება.
- დოქტორანტი სიმონ ბახტურიძე, თავის ნაშრომში, აღმოსავლეთ საქართველოს ჰელიოენერგეტიკულ მდგომარეობასაც იხილავს. მზის რადიაციაზე განახლებული ინფორმაციის ფიზიკურად არარსებობის გამო, ქ. თელავის შესახებ 1992 წლის მონაცემები არის მოყვანილი, რომელიც ჩემი კვლევისთვის (მზის რადიაციის რაოდენობის განსაზღვრა) არ გამოდგება, რადგან ძველია და დღევანდელ მდგომარეობას აღარ შეესაბამება.

თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ქსელის განვითარებასთან დაკავშირებით განვიხილე გადამცემი სისტემის ოპერატორის „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ შედგენილი „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმა 2021-2031“, საიდანაც ირკვევა:

- კახეთი მაღალი ძაბვის ქსელის საიმედოობის ამალღების მიზნით, დაგეგმილია რამდენიმე ქვესადგურის და საჰაერო ელექტრო გადამცემი ხაზის მშენებლობა: „*კახეთის რეგიონის კვების*

საიმედოობის ასამაღლებლად, დაგეგმილია ახმეტა-თელავი-გურჯაანის 110 კვ მაგისტრალის მშენებლობა (220 კვ-ის გაბარიტებში), 220/110/10 კვ ქ/ს ახალი თელავის მშენებლობა, გარდა ამისა დაგეგმილია 220 კვ ეგზ-ის მშენებლობა ქ/ს ახალი თელავიდან ჟინვალამდე, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს როგორც კახეთის ელ. სადგურების, ასევე ჟინვალჰესის სიმძლავრის ქსელში საიმედო გამოტანას.“[5]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფო პროექტის მშენებლობის დასრულების შემდეგ (2023-2024) თელავის რაიონის ელექტრომომარაგების საიმედოობაც ამაღლდება, რაც ჩემს მიერ დაპროექტებულ მზის და ჰიდრო ელექტროსადგურების ქსელთან პარალელურ რეჟიმში მუშაობასაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს.

თელავის რაიონში ჰიდროელექტროსადგურის წლიურ ჭრილში სიმძლავრის განსაზღვრის დადგენის მიზნით, ქართველი ავტორების შესაბამის სახელმძღვანელოებს გავეცანი:

- ნოდარ კოდუა - „ჰიდროელექტროსადგურები“ [6]. 2017 წელს გამოცემულ ამ წიგნში, მოცემულია წყლის ნაკადის სიმძლავრის და ენერჯის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ჩემს კვლევაშიც გამოვიყენე. აგრეთვე, ამ წიგნში მოცემულია წყლის ხარჯის და ზედა და ქვედა ბიეფებს შორის დონეთა სხვაობის მიხედვით ჰიდროელექტროსადგურების კლასიფიკაცია და მათი დადგმული სიმძლავრის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღსანიშნავია, რომ ავტორი დეტალურად იხილავს ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი ტექნიკური პარამეტრების გაანგარიშებებს და საგენერატორო შენობაში არსებულ ძირითად ელექტრულ მოწყობლობებს და მათი შერჩევის გზებს, ელექტრულ შეერთებების სქემებს, მილსადენის ტიპებს და პროექტირებისა და ექსპლუატაციის სტადიებს.
- 2009 წელს გამოცემულ წიგნში - „ჰიდროენერგეტიკული დანადგარები“ [7], მოცემული არის წყლის ხარჯის მიხედვით

ჰიდროტურბინების კლასიფიკაცია და აქტიური და რეაქტიული ჰიდროტურბინების მოქმედების სქემები. აგრეთვე, მოცემული არის, ჰიდროაგრეგატების მოდელირების საფუძვლები და მათი შერჩევის ძირითადი პარამეტრები, რომლებიც ჩემს კვლევაში ტურბინა-გენერატორების ტექნიკური პარამეტრების შედარებების დროს გამოვიყენე.

მზის რადიაციის რაოდენობის განსაზღვრისათვის და მზის ელექტროსადგურის დაპროექტებისათვის უცხოელი მეცნიერების შესაბამისი კვლევები მოვიძიე, რომელთა მეთოდოლოგიის ანგარიშების გარკვეული ნაწილი ჩემი კვლევისთვის გამოვიყენე:

- “Calculation of monthly average insolation on tilted surfaces” [8]. ამ კვლევაში ბრიტანელი მეცნიერი იხილავს მეთოდოლოგიას, თუ როგორ არის შესაძლებელი დახრილ ზედაპირზე მზის სხივის და მზის პანელის ერთმანეთთან დამოკიდებულები მათემატიკური მოდელის ანგარიშებით განისაზღვროს. კონკრეტულად, გამონგარიშებული არის: მზის დახრილობის კუთხე, მზის ადგილობრივი დრო, მზის საათობრივი კუთხე, მზის სხივის დაცემის კუთხე, ზენიტის კუთხე, მზის ამოსვლის და ჩასვლის კუთხეები.
- „Estimation of hourly global solar radiation in egypt using mathematical model“ [9]. კვლევაში მიგნებული არის მათემატიკური მეთოდოლოგიისთვის, რის საშუალებითაც შესაძლებელია კონკრეტულ ადგილმდებარეობაზე მზის სხივის რადიაციის საშუალო სიდიდე საათობრივ ჭრილში განისაზღვროს, რისთვისაც გამონგარიშებული არის: მზის სხივის გამოსხივების სიდიდე ატმოსფეროში შემოჭრამდე და მზის სხივის პირდაპირი და მიმოფანტული გამოსხივებები.
- „Design and Economic Analysis of a Solar Photovoltaic System for a Campus Sports Complex“ [10]. ეს კვლევა ჩატარებული არის სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, რის დროსაც გამოყენებული არის ის ძირითადი



პრინციპები და მათემატიკური მოდელის ანგარიშები, რომლებიც მზის ელექტროსადგურების პროექტირებისა და ოპტიმიზაციისთვის არის აუცილებელი. აღსანიშნავია, რომ მკვლევარები პირველ რიგში არჩევენ ადგილმდებარეობას, შემდეგ - მზის პანელს, ცენტრალურ ინვერტორს და ცვლადი/მუდმივი დენის შემაერთებელ კაბელებს. ამის შემდეგ, მათემატიკური მოდელის გამოყენებით ანგარიშობენ შემდეგს: მზის პანელის უჯრედის ტემპერატურა, მზის პანელის ეფექტურობის ცვლილება, პარალელურად და მიმდევრობით შეერთებული პანელების რაოდენობება, მზის პანელის მიმდევრობით შეერთებული მოდულების მაქსიმალური რაოდენობა და ინვერტორიდან გამომავალი მაქსიმალური სიმძლავრის მინიმალური ძაბვა.

- 2016 წელს ინდოეთში ჩატარებული კვლევიდან „An overview of solar photovoltaic panel modeling based on analytical and experimental viewpoint“, შესაძლებელია განისაზღვროს მზის ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები განისაზღვროს, კონკრეტულად: მზის პანელის მიმდევრობით შეერთებული მოდულების მინიმალური რაოდენობა, მზის პანელის პარალელურად შეერთებული მოდულების მაქსიმალური რაოდენობა, მზის პანელის პარალელურად შეერთებული მოდულების მინიმალური რაოდენობა, მზის ელექტროსადგურის მინიმალური ფართობი, მზის ელექტროსადგურის პანელების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა და ინვერტორიდან გამომავალი მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა [11].

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ქსელში არსებული სიმძლავრის დანაკარგების პრობლემაზე და მათი შემცირების გზების ძიებაზე, განვიხილე უცხოელი მეცნიერების მიერ გაკეთებული კვლევები, საიდანაც დგინდება შემდეგი:

- 2009 წელს ესპანეთში გაკეთდა კვლევა - „Future development of the electricity systems with distributed generation“, სადაც განხილული არის თანამედროვე ენერგეტიკული სისტემების პრობლემები [12]. ეს პრობლემები ძირითადად ეხება ცენტრალიზებულ სისტემებს, სადაც ელექტროენერჯის გამომუშავება ძირითადად მძლავრ ელექტროსადგურებში ხდება. ელექტროენერჯის მომხმარებლებამდე მიტანის მიზნით, კომპლექსური მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი სისტემების აშენება ხდება საჭირო, რომლებიც საკმაოდ დიდ მანძილებზე არის გადაჭიმული. დიდ მანძილებზე ელექტროენერჯის გადაცემა არის ძირითადი მიზეზი ენერგეტიკულ სისტემებში სიმძლავრის დანაკარგების მაღალი მაჩვენებლებისა, რისი შემცირების ერთ-ერთ ეფექტურ გზას, ავტორების აზრით, საშუალო და მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურების მომხმარებლებთან ახლოს აშენება წარმოადგენს.
- “Distributed energy generation and sustainable development” [13]. ამ კვლევაში განხილული არის ფინეთის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების სისტემა, სადაც ავტორები, ზუსტად იმ პრობლემატურ საკითხს ეხებიან, რა საკითხიც ჩემი კვლევის ფარგლებში არსებობდა. ფინეთის ენერგოსისტემა, საქართველოს მსგავსად, ძირითადად ცენტრალიზებულია და მძლავრი ელექტროსადგურების მომხმარებლებთან დასაკავშირებლად გრძელი ელექტროგადამცემი ხაზების აშენება ხდება საჭირო, რაც სიმძლავრის დანაკარგებს საგრძნობლად ზრდის. მკვლევარების მიერ წარმოდგენილი არის რეკომენდაციები, რის მიხედვითაც ენერგოსისტემის დეცენტრალიზაცია და მომხმარებლებთან ახლოს ელექტროსადგურების აშენება არამარტო სიმძლავრის დანაკარგებს შეამცირებს, არამედ, ელექტრომომარაგების სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს.

## თავი 2. მეთოდოლოგია

წინამდებარე თავში განხილული არის ჰიდროენერგეტიკული და ჰელიოენერგეტიკული რესურსების მოკვლევის მათემატიკური მოდელის მეთოდოლოგიები, რისი საშუალებითაც შესაძლებელია, კონკრეტულ ადგილმდებარეობებზე წლიურ და საათობრივ ჭრილებში ჰიდრო და მზის ელექტროსადგურების სიმძლავრეები განისაზღვროს. აგრეთვე, განხილული არის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელის და საჰაერო ხაზის შერჩევის და შესაბამისი კვეთის დადგენის პრინციპებიც, რომელთა მათემატიკური მოდელის ანგარიშების მეთოდოლოგია ქვემოთ ქვეთავებში დეტალურად არის განხილული.

### 2.1 საათობრივი მზის რადიაციის ანგარიში მათემატიკური მოდელის გამოყენებით

საათობრივი მზის რადიაციის ანგარიშების დაწყებამდე, აუცილებელია, შეირჩეს ადგილმდებარეობა და მისი საკოორდინატო მონაცემების განისაზღვროს. ამის შემდეგ, მათემატიკური მოდელის ანგარიშების დაწყება არის შესაძლებელი, რომლის მეთოდოლოგია შემდგომ ძირითად მათემატიკურ პრინციპებზეა დაფუძნებული [8], [9], [14].

პირველ, რიგში, მზის სხივის და სადგურის მზის პანელების საპროექტო ზედაპირის სფერული დამოკიდებულების ზუსტი დადგენა არის საჭირო, რათა დღის განმავლობაში მზის მოძრაობის ზუსტი განსაზღვრა მოხდეს. დღის განმავლობაში მზის დახრილობის მახასიათებლის გასარკვევად შემდეგი ფორმულა გამოიყენება:

$$\delta = 23.45 \sin^2 \left( 360 \frac{284+n}{365} \right) \quad (1)$$

$n$  - დღეების რაოდენობა პირველი იანვრიდან, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:

$$n = 30(M) + 0.6(M - 3) + 30.5 + N \quad (2)$$

M – თვის რიცხვი 1-დან 12-მდე. N - თვის კონკრეტული დღის რიცხვი.

მზის ადგილობრივი დროის (AST) განსაზღვრა აუცილებელია, რადგან მზის ადგილობრივი დრო და სტანდარტული ადგილობრივი დრო (LST) ერთმანეთისგან განსხვავდება. მზის ადგილობრივი დრო შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$AST = LST + \frac{EOT - \Delta}{60} \quad (3)$$

EOT არის დღის განმავლობაში არსებული დროის დღის შუქის ხანგრძლივობა, რომელიც შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$EOT = 9.87\sin(2B) - 7.53\cos(B) - 1.5\sin(B) \quad (4)$$

სადაც,

$$B = \frac{360}{364} (n - 81) \quad (5)$$

მე-3 ფორმულის ზუსტად განსაზღვრისათვის ადგილობრივი და სტანდარტული დროის მერიდიანების გასწორება არის აუცილებელი:

$$\Delta = 4(\text{გრძედი} - LSTM) \quad (6)$$

LSTM არის სტანდარტული ადგილობრივი დროის მერიდიანი, რომელიც გრინვიჩის დროის მერიდიანის (GMT) განსაზღვრისთვის გამოიყენება. საქართველოსა და გრინვიჩის დროებს შორის სხვაობა არის 4 საათი, რის მიხედვითაც LSTM შემდეგნაირად განისაზღვრება [15]:

$$LSTM = 15^\circ \Delta T_{GMT} \quad (7)$$

მზის ადგილობრივი დროის (AST) დადგენის შემდეგ, მზის საათობრივი კუთხე ( $\omega$ ) უნდა გამოითვალოს:

$$\omega = 15(12 - AST) \quad (8)$$

ყველა ზემოთ არსებული ანგარიშის ჩატარება იძლევა იმის საშუალებას, რომ ქ. თელავში მზის ელექტროსადგურის საპროექტო

ადგილზე მზის სხივის დაცემის კუთხე ( $\theta$ ) შემდეგი ფორმულით განისაზღვროს [16]:

$$\theta = \cos^{-1}(\cos\theta) \quad (9)$$

საიდანაც,

$$\begin{aligned} \cos\theta = \sin\delta\sin\phi\cos\beta - \sin\delta\cos\phi\sin\beta\cos\gamma + \cos\delta\cos\phi\cos\beta\cos\omega + \\ \cos\delta\sin\phi\sin\beta\cos\gamma\cos\omega + \sin\delta\sin\beta\sin\gamma\cos\omega \end{aligned} \quad (10)$$

ამასთანავე, აუცილებელია, გამოითვალოს ზენიტის კუთხეც ( $\theta_z$ ), რომელიც ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის სხივის ვარდნის კუთხის განმსაზღვრელია:

$$\theta_z = \cos^{-1}(\cos\theta_z) \quad (11)$$

საიდანაც,

$$\cos\theta_z = \sin\delta\sin\phi + \cos\delta\cos\phi\cos\omega \quad (12)$$

დღის სინათლის ხანგრძლივობა (DLT) წლის განმავლობაში ცვალებადია, ამიტომ მზის ამოსვლის (SR) და მზის ჩასვლის (SS) დროები უნდა დადგინდეს. ამისთვის, პირველ რიგში მზის ამოსვლის ( $\omega_{sr}$ ) და მზის ჩასვლის ( $\omega_{ss}$ ) კუთხეების სიდიდე საპროექტო მზის ელექტროსადგურის პანელების ზედაპირის მიმართ შემდეგი ფორმულით უნდა გამოითვალოს:

$$\cos\omega_{sr} = -\tan\phi\tan\delta \quad (13)$$

$$\omega_{sr} = \cos^{-1}(-\tan\phi\tan\delta) \quad (14)$$

$$\omega_{ss} = -\omega_{sr} \quad (15)$$

დღის სინათლის ხანგრძლივობა (DLT) შემდეგნაირად გამოითვლება:

$$DLT = \frac{2}{15} \times \omega_{sr} \quad (16)$$

ამის შემდეგ, მზის ამოსვლის (SR) და მზის ჩასვლის (SS) დროების გამოთვლაც შესაძლებელია:

$$SR = 12 - DLT/2 \quad (17)$$

$$SS = 12 + DLT/2 \quad (18)$$

ყველა ზემოთ არსებული გამოთვლების ჩატარების შემდეგ, უნდა დადგინეს მზის სხივის გამოსხივების სიდიდე  $n$ -დღისთვის, სანამ სხივი დედამიწის ატმოსფეროში შემოიჭრება ( $G_0$ ):

$$G_0 = G_{sr} \cdot \varepsilon \cdot \cos\theta_z = 1367 \cdot (1 + 0.033 \cdot \cos\left(\frac{360}{365} \cdot n\right)) \cdot \cos\theta_z \quad (19)$$

სადაც  $G_{sr}$  არის მზის მუდმივა და შემდეგ დიაპაზონში მერყეობს 1,321-1,413 კვტ/მ<sup>2</sup>.

ატმოსფეროში შემოჭრამდე მზის სხივის გამოსხივების სიდიდე ჯოჯოხეთშიც უნდა გამოითვალოს:

$$H_0 \frac{86400}{\pi} G_{sr} \cdot 0.033 \cdot \cos\left(\frac{360}{365} \cdot n\right) (\cos\phi \cos\delta \sin\omega_s + \omega_s \sin\phi \sin\delta) \quad (20)$$

მზის გამოსხივების რაოდენების დახრილ ზედაპირზე ( $H_T$ ) გამოსათვლელად მზის სხივების პირდაპირი ( $H_b$ ) და მიმოფანტული ( $H_d$ ) გამოსხივებები სიდიდეების დადგენა არის აუცილებელი, რომლების შემდეგი ფორმულებით გამოითვლება:

$$H_b = H \cdot (1.391 - 3.56 \times K_T^2 - 2.137 \times K_T^3) \quad (21)$$

$$H_b = H - H_d \quad (22)$$

$$H = K_T \times H_0 \quad (23)$$

სადაც  $K_T$  არის სუფთა ცის ინდექსი და 0.73-ს ტოლია [17].

ყველა ზემოთ მოყვანილი ფორმულების ანგარიშების ჩატარების შემდეგ დახრილ ზედაპირზე მზის გამოსხივების საშუალო სიდიდე ( $H_T$ ) შემდეგი ფორმულით უნდა განისაზღვროს:

$$H_T = H_b \cdot R_b + H_d \left(\frac{1+\cos\beta}{2}\right) + H \cdot P_g \left(\frac{1-\cos\beta}{2}\right) \quad (24)$$

აღსანიშნავია, რომ ეს ანგარიშები კონკრეტული დღის ერთი საათისათვის არის განსაზღვრული. შესაბამისად, წლიურ და დღიურ

ჭრილში სრული ინფორმაციის მისაღებად, ანგარიშები ყველა საანგარიშო დღეს 24 საათიან ფორმატში უნდა შესრულდეს.

## 2.2 მზის ელექტროსადგურის სიმძლავრის განსაზღვრა მათემატიკური მოდელის გამოყენებით

იმისათვის, რომ მზის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე განისაზღვროს, პირველ რიგში, აუცილებელია ისეთი მზის პანელის ტიპი შეირჩეს, რომელიც ფინანსური და ტექნიკური თვალსაზრისით ყველაზე მისაღები იქნება. ამის შემდეგ, მზის ელექტროსადგურის სიმძლავრის განსაზღვრის ანგარიშების დაწყება არის შესაძლებელი, რომლის მეთოდოლოგია ძირითად მათემატიკურ პრინციპებს ეყრდნობა [10], [11], [18], [19].

პირველ რიგში, მზის პანელში არსებული უჯრედების ტემპერატურა თვის კონკრეტული რიცხვის დღის საათების განმავლობაში უნდა განისაზღვროს:

$$T_c = T_a + \frac{G}{0.8} \cdot (NOCT - 20) \quad (25)$$

სადაც,  $T_a$  არის გარემოს ტემპერატურა,  $G$  (კვტ/მ<sup>2</sup>) - მზის სხივის რადიაციის სიდიდე დღის საათის მოცემულ მონაკვეთში, NOCT - მზის პანელის უჯრედის ფუნქციონირების ნომინალური ტემპერატურა, რომელიც 42° და 48° შორის მერყეობს [20].

გამომდინარე იქიდან, რომ მზის პანელის ეფექტურობა და ტემპერატურა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია, მზის პანელის ეფექტურობის ცვლილება დღის საათების განმავლობაში შემდეგი ფორმულით უნდა დაზუსტდეს:

$$\eta_p = \eta_r \cdot (1 - \beta_c(T_c - T_r)) \quad (26)$$

$\eta_r$  არის მზის პანელის მოდულის ეფექტურობა რეფერენსულ ტემპერატურაზე (15,2°), ხოლო  $\beta_c$  - მზის პანელის მოდულის ეფექტურობის კოეფიციენტი.

მზის პანელის ტემპერატურისა და ეფექტურობის განსაზღვრის შემდეგ, ცენტრალური ინვერტორების შერჩევა არის აუცილებელი. ცენტრალური ინვერტორების ტექნიკური პარამეტრების ზუსტი შერჩევა მზის ელექტროსადგურის გამართული და ხანგრძლივი მუშაობის წინაპირობაა [21].

ცენტრალური ინვერტორების შერჩევის შემდეგ, ერთ ერთეულ ცენტრალურ ინვერტორში ჩართული მზის პანელების რაოდენობების დადგენა შემდეგი ფორმულით არის შესაძლებელი:

$$V_{oc-max} = V_{oc} + ((T_{min} - T_{STC}) \times V_{oc}T) \quad (27)$$

სადაც,  $V_{oc}$  არის გახსნილი წრედის ძაბვა,  $T_{min}$  - პანელის უჯრედის მინიმალური ტემპერატურა,  $T_{STC}$  - პანელის უჯრედის ტემპერატურა სტანდარტულ გამოსაცდელ პირობებში (25°),  $V_{oc}T$  - გახსნილი წრედის ძაბვის ტემპერატურის კოეფიციენტი.

ამის შემდეგ, მზის პანელებში მიმდევრობით შეერთებული მოდულების მაქსიმალური რაოდენობა შემდეგი ფორმულით უნდა გამოითვალოს:

$$N_{max} \leq \frac{V_{dc-max}}{V_{oc-max}} \quad (28)$$

$V_{dc-max}$  არის ცენტრალურ ინვერტორში შემავალი მაქსიმალური მუდმივი ძაბვა.

ცენტრალური ინვერტორიდან გამომავალი მაქსიმალური სიმძლავრის მინიმალური ძაბვის გამოთვლაც არის აუცილებელი:

$$V_{mp-max} = V_{mpp} + ((T_{rise} + T_{max} - T_{STC}) \times V_{mpp}T) \quad (29)$$

$V_{mpp}$  არის მაქსიმალური სიმძლავრის ძაბვა,  $T_{rise}$  - გაზრდილი ტემპერატურა,  $T_{max}$  - პანელის უჯრედის მაქსიმალური ტემპერატურა,  $V_{mpp}T$  - მაქსიმალური სიმძლავრის ძაბვის ტემპერატურის კოეფიციენტი.



მზის პანელის მიმდევრობით შეერთებული მოდულების მაქსიმალური რაოდენობის დადგენის შემდეგ, მინიმალური რაოდენობის დადგენაც არის შესაძლებელი:

$$N_{min} \geq \frac{V_{dc-min}}{V_{oc-max}} \quad (30)$$

$V_{dc-min}$  არის ცენტრალურ ინვერტორში შემავალი მინიმალური მუდმივი ძაბვა.

ზემოთ არსებული ანგარიშების ჩატარების შემდეგ, მზის პანელის პარალელურად შეერთებული მოდულების მაქსიმალური რაოდენობა შემდეგი ფორმულის გამოყენებით შეიძლება დაზუსტდეს:

$$N_{max} \leq \frac{I_{max}}{I_{max-STC}} \quad (31)$$

სადაც,  $I_{max}$  არის ცენტრალურ ინვერტორში შემავალი მაქსიმალური დენი, ხოლო  $I_{max-STC}$  - მაქსიმალური დენი სტანდარტულ გამოსაცდელ პირობებში.

მზის პანელის პარალელურად შეერთებული მოდულების მინიმალური რაოდენობა შემდეგი ფორმულის გამოყენებით იანგარიშება:

$$N_{min} \geq \frac{I_{pv}}{I_{sc}} \quad (32)$$

სადაც,  $I_{pv}$  არის მზის პანელის ნომინალური დენი სტანდარტულ გამოსაცდელ პირობებში, რომელიც შემდეგნაირად გამოითვლება:

$$I_{pv} = \frac{24I_L}{PSH} \quad (33)$$

$I_L$  არის მაქსიმალური სიმძლავრის დენი, ხოლო  $PSH$  - მზის პიკური საათები.

მიმდევრობით და პარალელურად შეერთებული მზის პანელების მოდულების მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობების დადგენის შემდეგ, მზის ელექტროსადგურის ერთ ცენტრალურ ინვერტორში ჩართული მზის პანელების მინიმალური ფართობი მზის პანელების

მიმდევრობით და პარალელურად შეერთებული მოდულების მინიმალური რაოდენობების მეშვეობით შეიძლება დადგინდეს:

$$A = (N_{s-min} + N_{p-min}) \cdot A_m \quad (34)$$

სადაც,  $A_m$  ერთი მოდულის ფართობია.

მზის ელექტროსადგურის ერთი ერთეული ცენტრალური ინვერტორის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა ( $E_A$ ) შემდეგი ფორმულით შეიძლება გამოითვალოს:

$$E_A = \eta_A \cdot A \cdot H_T \quad (35)$$

$\eta_A$  არის მზის ელექტროსადგურის ეფექტურობის კოეფიციენტი, რომელიც ჩვენს შემთხვევაში მზის პანელის ეფექტურობის ტოლი იქნება, რადგან მზის პანელის კაბელების შეერთების და დანარჩენი ელექტრომოწყობილობების სიმძლავრეების დანაკარგები უგულვებელყოფილი გვაქვს.  $H_T$  არის მზის ელექტროსადგურის ერთ ერთეულ ცენტრალურ ინვერტორში ჩართული მზის პანელების სამონტაჟო ზედაპირზე მზის გამოსხივების საშუალო სიდიდე.

ცენტრალური ინვერტორებიდან გამომავალი მზის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტრო ენერჯის საერთო სიდიდე შემდეგნაირად გამოითვლება:

$$E_{Inv} = E_A \cdot \eta_{Inv} \cdot N_{Inv} \quad (36)$$

სადაც,  $\eta_{ელ.მოწყობილობები}$  არის მზის ელექტროსადგურის დანარჩენი ელექტრული მოწყობილობების ეფექტურობის კოეფიციენტი, ხოლო  $N_{Inv}$  ცენტრალური ინვერტორების რაოდენობა.

### 2.3 ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრის განსაზღვრა

ჰიდროელექტროსადგურებში წყლის ნაკადის კინეტიკური ენერჯია ჰიდროტურბინის მექანიკურ და შემდგომ სამფაზა გენერატორის ელექტრულ ენერჯიებად გარდაიქმნება. ჰესის სიმძლავრისა და

გამომუშავების დასადგენად საჭიროა, ვიცოდეთ ტურბინის ფრთებში წყლის შესვლის კვეთში არსებული დაწნევა და შესული წყლის ხარჯი. ამასთანავე, საჭიროა ვიცოდეთ ტურბინის და გენერატორის მარგი ქმედების კოეფიციენტები [6], [7].

ტურბინის ფრთებში ნაკადის შესვლის კვეთში არსებული სტატიკური დაწნევა ( $H_{სტ}$ ) ფრენის და პელტონის ტიპის ტურბინებისთვის სხვადასხვანაირად იანგარიშება:

1) ფრენის ტიპის ტურბინისთვის ფრთებში ნაკადის შესვლის კვეთში სტატიკური დაწნევა ზედა და ქვედა ბიეფების ნიშნულებს შორის სხვაობით იანგარიშება:

$$H_{სტ} = \nabla_{ზ.ბ.} - \nabla_{ქ.ბ.} \quad (37)$$

2) პელტონის ტიპის ტურბინისთვის ფრთებში ნაკადის შესვლის კვეთში სტატიკური დაწნევა ზედა ბიეფების და საქშენის ხვრეტის ფართის ცენტრის ნიშნულებს შორის სხვაობით იანგარიშება:

$$H_{სტ} = \nabla_{ზ.ბ.} - \nabla_{ბ.ც.} \quad (38)$$

$H_{სტ}$  დაწნევა სიმძლავრის საანგარიშო ფორმულაში უნდა შევიდეს, მას ყველა ის ჰიდრავლიკური დანაკარგი უნდა გამოაკლდეს, რომელსაც წყალმიმღებიდან ტურბინის წინა კვეთამდე აქვს ადგილი. ასეთ დაწნევას ტურბინის ფრთებში წყლის შესვლის კვეთში არსებული ნეტო დაწნევა ეწოდება, რომელიც შემდეგნაირად იანგარიშება:

$$H_{წ} = H_{სტ} - h_{ადგ} - h \quad (39)$$

$h_{ადგ}$  არის ადგილობრივი დანაკარგები ნაკადის წყალმიმღების კვეთში, მოხვეულებზე და საკეტების განლაგების კვეთში, ხოლო  $h$  - დანაკარგები სიგრძეზე.

ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჰესის სიმძლავრე შემდეგი ფორმულით შეიძლება დადგინდეს:

$$P_{ჰეს} = G \cdot H_{წ} \cdot Q \cdot \eta_{წ} \cdot \eta_{გენ} \quad (40)$$

სადაც, G არის დედამიწის გრავიტაციული მიზიდულობის ძალით გამოწვეული აჩქარება (თავისუფალი ვარდნა) და 9.81-ს უდრის,  $H_5$  - ტურბინის ფრთებში წყლის შესვლის კვეთში არსებული ნეტო დაწნევა,  $Q$  - წყლის ხარჯი,  $\eta_{ტ}$  ტურბინის და  $\eta_{გენ}$  გენერატორის მარგი ქმედების კოეფიციენტები, რომელთა სიდიდეები შემდეგ დიაპაზონებში მერყეობს:  $\eta_{ტ} = 0,9-0,96$ ,  $\eta_{გენ} = 0,97-0,98$ .

წყლის ნაკადის მიერ გარკვეულ დროში გამომუშავებული ენერგია  $\mathfrak{E}_{ჰეს}$  შემდეგი ნამრავლით გამოისახება:

$$\mathfrak{E}_{ჰეს} = N_{ჰეს} \cdot t \quad (41)$$

სადაც t არის დრო წამებში ან საათებში.

SI სისტემაში ელექტრული ენერგია ჯოულებში იზომება და მისგან წარმოებული ელექტროენერგია,  $1ჯ = 1 ნ/მ = 1 ვტ/წმ$

დასაშვებია ენერგიის გამოსახვა ვტ/სთ-ში და მისგან წარმოებულ ერთეულებში: კვტ/სთ; მგვტ/სთ; გვტ/სთ; ტვტ/სთ; ენერგეტიკაში ყველაზე ფართო გავრცელება მოიპოვა კვტ/სთ-მა, სადაც  $1კვტ/სთ=3600$  კილოჯოულს. შესაბამისად,

$$\mathfrak{E}_{კვტ/სთ} = \frac{\mathfrak{E}_{კილოჯოული}}{3600} \quad (42)$$

გარკვეულ დროში ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია იანგარიშება შემდეგნაირად:

$$\mathfrak{E}_{ჰეს} = \frac{H_5 \times Q}{367.2} \cdot \eta_{ენ.მოწყ} \quad (43)$$

სადაც  $\eta_{ენ.მოწყ}$  არის ჰესში არსებული ელექტრომოწყობილობების მქც-ების საშუალო არითმეტიკული სიდიდე და ენერგომოწყობილობების მარგი ქმედების კოეფიციენტად იწოდება.

## 2.4 მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის შერჩევა

კვლევის ფარგლებში საჭირო გახდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელი შერჩეულიყო და საჭირო ელექტროგადამცემი ხაზის კვეთი დადგენილიყო, რისთვისაც შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა გაკეთდა და წინამდებარე მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული [22].

### 2.4.1.1 მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ელექტრული დატვირთვების ანგარიში

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელის ან საჭირო ხაზის შერჩევისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ კაბელის დატვირთვის დენი ( $I_6$ ) დადგინდეს:

$$I_6 = \frac{P}{U_f \cdot \sqrt{3}} \quad (44)$$

სადაც,  $P$  არის მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზში გამავალი ნომინალური სიმძლავრე,  $U_f$  - ფაზური ძაბვა.

მაკორექტირებელი ფაქტორების გათვალისწინებით მიწისქვეშა კაბელში გამავალი მაქსიმალური დენი ( $I_{კაბ}$ ) შემდეგნაირად იანგარიშება:

$$I_{კაბ} = I_6 \cdot C_1 \cdot C_2 \cdot C_3 \cdot C_4 \quad (45)$$

სადაც,  $C_1$  არის გრუნტის თერმული წინაღობა,  $C_2$ -გრუნტის ტემპერატურა,  $C_3$ -საკაბელო სისტემის რაოდენობა,  $C_4$ -ტრანშეის სიღრმე. ამასთანავე, კაბელების განლაგების ფორმა და დატვირთვის კოეფიციენტიც გასათვალისწინებელია.

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზში გამავალი მაქსიმალური დენის დადგენის შემდეგ, კაბელის ნომინალური დენის სიდიდე ( $I_{ნომ}$ ) ხაზის საქარხნო პარამეტრებიდან ან IEC60502-2 სტანდარტი ბ3 ცხრილიდან უნდა დადგინდეს. საპროექტო კაბელი ან საჭირო ხაზი იმ შემთხვევაში

დააკმაყოფილებს მოთხოვნებს თუ ხაზის ნომინალური დენის სიდიდე (I<sub>ნომ</sub>) ხაზში გამავალი მაქსიმალური დენის (I<sub>გ</sub>) სიდიდეზე მეტი იქნება. ამასთანავე, კაბელის დასაშვები კვეთის ანგარიში უნდა მოხდეს მოთხოვნილი სიმძლავრის, დასაშვები დენისა და წლიური მაქსიმალური დატვირთვის საათების (3000-დან 5000-მდე) შესაბამისი დენის ეკონომიური სიმკვრივის (I<sub>გს</sub> - 2.5ა/მმ<sup>2</sup>) გათვალისწინებით:

$$S_{\text{კაბელი}} = \frac{I}{I_{\text{გს}}} \quad (46)$$

#### 2.4.1.2 მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ძაბვის კარგვის ანგარიში

მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი კაბელის ან საჰაერო ხაზის პარამეტრების ზუსტად განსაზღვრისათვის, შერჩეული სადენზე ძაბვის კარგვის ანგარიშებიც უნდა შესრულდეს და შესაბამის სტანდარტებს შედარდეს.

ძაბვის კარგვის სიდიდე შემდეგი ფორმულით უნდა დადგინდეს:

$$\Delta U = \sqrt{3} \cdot I \cdot L \cdot (r_0 \cdot \cos\varphi + x_0 \cdot \sin\varphi) \quad (47)$$

სადაც, I არის დატვირთვის დენი, L - კაბელის სიგრძე, R<sub>0</sub> - კაბელის აქტიური წინაღობა, ხოლო X<sub>0</sub> - კაბელის ინდუქციური წინაღობა.

ძაბვის კარგვის ანგარიში %-ში:

$$\Delta U\% = \frac{\Delta U \cdot 100}{U} \quad (48)$$


სადაც U არის კაბელის ფაზური ძაბვა ვოლტებში.

„ქსელის წესები“-ს მუხლი 80-ის #11 და #12 პუნქტების მოთხოვნების მიხედვით, საპროექტო კაბელი იმ შემთხვევაში დააკმაყოფილებს მოთხოვნებს, თუ კაბელის ძაბვის კარგვის სიდიდე პროცენტებში (ΔU%) ძაბვის კარგვის მაქსიმალურ სიდიდეზე (7%) ნაკლები იქნება [23].

### თავი 3. შედეგები და მათი განხილვა

#### 3.1 კახეთის რეგიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის მოკვლევა

საქართველოში კახეთი ერთადერთი რეგიონია, სადაც 35კვ და 110კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ქსელები “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”-ს (სსე) ეკუთვნის. ამჟამად, კახეთის რეგიონში სსე-ს ბალანსზე არის ერთი 220კვ ძაბვის ქვესადგური, 16 ცალი 110კვ ძაბვის ქვესადგური და 32 ცალი 35კვ ძაბვის ქვესადგური, იხ. ნახ. 1 [5]:



ნახაზი 1. კახეთის რეგიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელი

სსე-ს 10 წლიანი განვითარების გეგმის მიხედვით თელავის რაიონში 2023 წელს 220კვ ძაბვის ქ/ს-ს მშენებლობა უნდა დასრულდეს. ამ საპროექტო ქ/ს-ს 220კვ ძაბვის მხარე გურჯაანის და ჟინვალის 220კვ ძაბვის ქ/ს-ებს დაუკავშირდება, რის შემდეგაც კახეთის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელი უფრო სტაბილური გახდება [5].

ამჟამად, კახეთის რეგიონის მაღალი ძაბვის ელექტროენერჯის ქსელი ერთი 220კვ ძაბვის და სამი 110კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებით (ეგხ) მარაგდება, იხ. ცხრ. 1:

#	ხაზის დასახელება	ხაზის ძაბვა	დამაკავშირებელი ქვესადგურები
1	მანავი-2	220 კვ	გურჯაანი-220 <> რუსთავი-220
2	კვეტერა	110 კვ	თიანეთი-110 <> ახმეტა-110
3	იორი	110კვ	საგარეჯო-110 <> მწვანეხევი-110
4	უდაბნო	110კვ	მარნეული-110 <> საგარეჯო-110

**ცხრილი 1. კახეთის მაღალი ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები**

2022 წლის მონაცემებით, კახეთის რეგიონში 12 ცალი ჰოდროელექტროსადგურია ექსპლუატაციაში გაშვებული, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 66,35 მგვტ-ს შეადგენს, იხ. ცხრ. 2:

#	დასახელება	დადგმული სიმძლავრე (მგვტ)	ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი
1	ხადორჰესი-1	24	20.11.2004
2	ხადორჰესი-2	5.4	31.08.2012
3	ალაზანჰესი	6	25.11.2011
4	შილდაჰესი-1	4.4	20.09.2013
5	შილდაჰესი-2	5	01.04.2018
6	ინწობაჰესი	1.2	20.06.2016
7	ჩალაჰესი	1.95	22.09.2000
8	ავანიჰესი	1.5	03.06.2019
9	კაბალჰესი	3.5	17.07.2007
10	ლოპოტაჰესი	2.4	10.09.2009
11	ახმეტაჰესი	9.12	19.03.2014
12	ფშაველჰესი	1.9	14.03.2015

**ცხრილი 2. კახეთის რეგიონში ექსპლუატაციაში გაშვებული ჰესები**



ამჟამად, კახეთის რეგიონში კასკადური ტიპის „სტორი-1“ და „სტორი-2“ ჰესების მშენებლობა მიმდინარეობს. „სტორი-1“ და „სტორი-2“ ჰესების დადგმული სიმძლავრეები 35 და 12 მგვტ იქნება და 110კვ ძაბვის ეგხ-თი თელავის საპროექტო 220კვ ძაბვის ე/ს-ს 2023 და 2025 წლებში დაუკავშირდებიან [5].

### 3.2 კახეთის რეგიონის ელექტროენერჯის მოხმარების მოკვლევა

2022 წლის 31 მარტს მკვლევარის მიერ სსე-სთვის ოფიციალური წერილი იქნა მიწერილი, რის საფუძველზეც კახეთის რეგიონის რვა რაიონში 2017-2021 წლებში ელექტროენერჯის მოხმარების ჯამური მონაცემები გამოითხოვა (იხ. დან.-1). 2022 წლის 19 აპრილს სსე-მ მკვლევარს ოფიციალურად უპასუხა (იხ. დან.-2), რის საფუძველზეც ჩანს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კახეთის რეგიონში ყველაზე მაღალი ელექტროენერჯის მოხმარება თელავის რაიონში ფიქსირდება. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ელექტროენერჯის მოხმარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2019 წელს დაფიქსირდა და 98,317,549 კვტ/სთ შეადგინა, იხ. ცხრ. 3:

	რაიონი	2017	2018	2019	2020	2021
		კვტ/სთ				
1	<b>თელავი</b>	<b>92,937,079</b>	<b>97,410,773</b>	<b>98,317,549</b>	<b>97,270,872</b>	<b>93,929,890</b>
2	ახმეტა	26,309,318	26,413,065	25,586,767	26,400,404	24,480,009
3	გურჯაანი	65,330,534	68,499,295	71,806,250	76,892,970	65,470,035
4	ყვარელი	32,115,448	33,673,676	38,603,869	41,045,756	37,354,333
5	ლაგოდეხი	35,090,623	34,851,595	36,231,598	38,206,517	34,177,351
6	სიღნაღი	33,988,682	34,291,969	35,263,554	37,091,260	31,085,204
7	დ/წყარო	24,849,330	25,473,762	25,991,333	26,381,620	19,066,381
8	საგარეჯო	56,515,361	60,368,955	62,511,117	62,221,063	53,470,468
9	<b>ჯამი</b>	<b>367,136,37</b>	<b>380,983,09</b>	<b>394,312,03</b>	<b>405,510,46</b>	<b>359,033,67</b>
		5	0	7	2	1

ცხრილი 3. ბოლო ხუთი წლის კახეთის რაიონების ელექტროენერჯის მოხმარება

### 3.3 თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელის მოკვლევა

თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელში არის ორი 110კვ ძაბვის ქვესადგური: „თელავი-110“ და „წინანდალი-110“. თელავის რაიონი ელექტროენერგიით 110კვ ძაბვის ორი ეგზ-თი მარაგდება: ეგზ „კალაური-110“ და ეგზ „იყალთო-110“. ეგზ „კალაური-110“ მოდის ქ/ს „გურჯაანი-220-დან“ და ქ/ს „წინანდალი-110-ში“ შედის, ხოლო ეგზ „იყალთო-110“ მოდის ქ/ს „ახმეტა-110-დან“ და ქ/ს „თელავი-110-ში“ შედის. ქ/ს „თელავი-110“ და ქ/ს „წინანდალი-110“ ერთმანეთს 110კვ ძაბვის ეგზ „წინანდალი-110-ით“ უკავშირდებიან. ამ ქვესადგურების საკოორდინატო მონაცემები იხ. ცხრ. 4-ში:


#	ქვესადგური	გრძედი	განედი
1	თელავი-110	45,5016	41,9167
2	წინანდალი-110	45,5841	41,8878
3	კურდღელაური-35	45,4866	41,9343
4	გულგულა-35	45,4604	41,9424
5	ნაფარეული-35	45,5070	42,0381

ცხრილი 4. თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ქვესადგურების კოორდინატები

თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელში არის სამი ჩიხური ტიპის 35კვ ძაბვის ქ/ს: „კურდღელაური-35“, „გულგულა-35“, „ნაფარეული-35“. აღნიშნული ქ/ს-ები 35კვ ძაბვის ეგზ „გულგულა-35-თი“ მარაგდება, რომელიც ქ/ს „თელავი-110-დან“ გამოდის, რის შემდეგაც პირველ განშტოებას ქ/ს „კურდღელაური-35-თან“ აკეთებს, სადაც ერთი მხარე ქ/ს „კურდღელაური-35-ში“ შედის, ხოლო მეორე ქ/ს „გულგულა-35-სკენ“ მიდის. ქ/ს „გულგულა-35-თან“ კეთდება მეორე განშტოება, სადაც

ერთი მხარე ქს „გულგულა-35-ში“ შედის, ხოლო მეორე მხარე ქს „ნაფარეული-35-ში“ სრულდება.

თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ელექტრომომარაგების ქსელში არსებული ხუთი ქს-ის განლაგება იხ. ნახ. 2-ში:



ნახაზი 2. თელავის რაიონის მაღალი ძაბვის ქვესადგურების განლაგება

### 3.4 თელავის რაიონის ელექტროენერჯის მოხმარების მოკვლევა

თელავის რაიონში არსებული ხუთი მაღალი ძაბვის (35/110კვ) ქვესადგური სე-ს საკუთრებაშია, ხოლო საშუალო (6/10კვ) და დაბალი (0.4კვ) ძაბვის ელექტრული ქსელი - „ენერგო-პრო ჯორჯიას“. სე-ს ქს-ებში

„ენერგო-პრო ჯორჯიას“ საშუალო ძაბვის ფიდერები არის დამონტაჟებული, საიდანაც ელექტროენერგია თელავის რაიონის 32 სოფელს და ქ. თელავს მიეწოდება.

წინა თავში ნახსენები სსე-სთვის ოფიციალურად მიწერილ წერილში, თელავის რაიონში 2017-2021 წლებში ყოველი თვის ბოლო დღის ელექტროენერგიის მოხმარების ჯამური მონაცემებიც იქნა მოთხოვნილი (იხ. დან. 1). სსე-დან მიღებული წერილის დანართებიდან (იხ. დან. 2) ირკვევა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თელავის რაიონში დღე-ღამური ყველაზე მაღალი ელექტროენერგიის მოხმარება ზაფხულის და ზამთრის თვეებში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე ცოტა - გაზაფხულის თვეებში. ზამთრის და ზაფხულის თვეების ელექტროენერგიის მოხმარების თითქმის გათანაბრების ძირითადი მიზეზი არის მოსახლეობის მიერ ზამთრის თვეებში ელექტროენერგიის მოხმარების ზრდა სითბური ენერგიად გარდაქმნის მიზნით, ხოლო ზაფხულის თვეებში - კონდიციონერების სისტემების მუშაობის და შენობებში ტემპერატურის დარეგულირების/დაწვევის მიზნით. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ელექტროენერგიის მოხმარების ყველაზე მაღალი დღე-ღამური ჯამური მაჩვენებელი 2021 წლის 31 აგვისტოს დაფიქსირდა და 310,114 კვტ/სთ შეადგინა, ხოლო ყველაზე დაბალი - 211,333 კვტ/სთ 2017 წლის 31 მაისს. იხ. ცხრ. 5:

მკვლევარის მიერ ზემოთ აღნიშნულ სსე-სთვის მიწერილ წერილში 2017-2021 წლების განმავლობაში ყოველი თვის ბოლო დღის დღე-ღამური საათობრივი დატვირთვაც იქნა მოთხოვნილი. სსე-სგან მიღებული ინფორმაცია იხ. დან.-2-ში, საიდანაც იკვეთება ტენდენცია, რომ თელავის რაიონი მინიმალურ ელექტროენერგიას შუაღამის საათებში (01:00<>05:00) მოიხმარს, ხოლო მაქსიმალურს - შუადღის და საღამოს საათებში (12:00<>19:00). ეს ტენდენცია გამოწვეულია იმით, რომ ღამის საათებში მოსახლეობას სძინავს და შესაბამისად ელექტროენერგიას არ მოიხმარს, ხოლო დღის საათებში ხდება საყოფაცხოვრებო, ინდუსტრიული,

საწარმოო, ბიზნეს-ადმინისტრაციული და კულტურული ობიექტების მუშაობა, რაც თავისთავად დღის საათებში ელექტროენერჯის მოხმარების ზრდასთან არის დაკავშირებული.

#	თვე	2017	2018	2019	2020	2021
		კვტ/სთ				
1	იანვარი	259,299	294,063	268,162	281,195	284,662
2	თებერვალი	256,147	293,519	264,644	290,647	276,972
3	მარტი	234,692	273,175	253,525	249,334	283,659
4	აპრილი	224,273	249,880	244,783	228,091	254,882
5	მაისი	211,333	241,376	234,838	217,999	260,467
6	ივნისი	219,940	247,296	272,708	254,135	283,710
7	ივლისი	254,489	287,672	288,399	284,961	305,419
8	აგვისტო	273,547	254,659	288,251	265,079	310,114
9	სექტემბერი	272,082	253,426	263,588	276,616	291,610
10	ოქტომბერი	266,784	246,341	262,677	268,332	292,971
11	ნოემბერი	280,359	269,955	280,933	285,148	295,536
12	დეკემბერი	301,964	274,765	286,493	298,037	303,000

**ცხრილი 5. თელავის რაიონის 2017-2021 წლების ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარებები**

აღსანიშნავია, რომ სსე-სგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა, თელავის რაიონში 2017-2021 წლებში ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა არაწრფივია, რაც თავისთავად მომავალ წლებში ელექტროენერჯის მოხმარების რაოდენობის პროგნოზირებას ართულებს. შესაბამისად, თელავის რაიონის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყოველი თვის ბოლო დღის დღე-ღამური საათობრივი დატვირთვების საპროგნოზო მონაცემები საშუალო არითმეტიკული მეთოდით დაანგარიშდა. მიღებული შედეგები იხ. ცხრ. 6-ში:

თვე	საათი																							
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	მგვტ/სთ																							
იან	7.56	7.96	6.38	7.94	7.96	7.92	8.12	10.26	11.32	12.36	13.06	12.36	13.68	13.70	14.58	13.68	13.02	12.96	13.42	12.62	11.52	11.62	10.36	9.88
თებ	8.24	8.48	7.26	7.24	6.66	7.52	7.48	8.92	11.00	11.78	12.88	12.82	13.56	13.12	14.00	14.38	13.32	13.72	12.36	12.68	11.32	11.62	10.40	9.18
მარ	7.74	7.06	7.06	6.12	7.08	6.06	7.44	8.96	10.94	11.12	11.08	12.18	13.64	12.16	12.12	12.12	12.12	13.08	12.12	12.70	11.18	11.54	10.36	9.34
აპრ	6.82	6.70	6.40	6.76	6.72	7.14	7.56	8.74	10.20	10.86	11.90	11.00	11.96	12.38	10.46	10.54	10.64	12.18	11.02	11.98	11.18	10.54	9.86	8.78
მაი	6.12	6.46	6.64	6.20	5.88	5.18	7.54	8.42	10.06	11.52	12.08	11.38	10.66	11.14	11.08	11.06	11.18	11.04	12.12	12.28	11.52	10.90	9.74	8.48
ივნ	7.80	8.06	7.38	6.42	6.54	6.26	7.06	8.74	9.76	11.32	12.86	13.70	12.38	12.28	13.74	12.68	12.06	12.36	13.64	12.68	10.68	9.90	8.52	7.76
ივლ	7.92	7.82	6.14	6.14	5.14	7.50	7.32	9.64	10.72	12.02	12.98	14.46	14.92	13.76	13.32	15.16	15.48	15.52	15.36	14.10	13.66	10.70	9.92	8.92
აგვ	8.54	8.44	7.58	7.58	7.58	7.94	8.06	10.22	11.90	12.74	13.22	14.46	15.04	15.02	14.40	15.22	15.38	14.40	15.48	13.68	13.34	11.64	10.94	9.94
სექ	6.90	7.82	7.82	6.58	6.30	6.62	7.28	9.90	11.96	12.00	12.70	13.18	13.28	14.42	13.42	14.30	13.36	13.76	12.86	13.20	11.12	10.22	9.16	8.10
ოქტ	7.10	6.92	7.72	7.42	7.10	6.04	8.48	9.12	10.44	11.66	12.60	12.88	13.02	13.70	13.66	13.06	13.22	13.46	12.56	11.92	11.30	10.32	10.08	8.90
ნოე	7.64	6.36	6.36	6.36	6.40	6.40	7.30	9.00	11.50	12.52	13.00	13.24	12.02	13.10	13.06	13.50	13.66	13.26	12.98	11.04	11.20	10.20	9.52	8.30
დეკ	6.40	6.60	6.50	5.80	6.60	6.20	7.20	9.70	12.02	12.42	13.52	13.28	14.24	13.62	13.82	14.14	14.44	14.72	12.32	12.78	11.00	10.28	9.18	8.98

ცხრილი 6. თელავის რაიონის ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყოველი თვის ბოლო დღის დღე-ღამური საათობრივი დატვირთვების საპროგნოზო მონაცემები


### 3.5 თელავის რაიონში ჰიდრო რესურსების მოკვლევა

თელავის რაიონი წყლის რესურსების სიმრავლით არ გამოირჩევა. თელავის რაიონში წყლის რესურსების სიმცირე არის მიზეზი იმისა, რომ დღემდე თელავის რაიონში მხოლოდ ორი მცირე სიმძლავრის ჰესია აშენებული. ეს ჰესებია: ლოპოტაჰესი და ფშაველჰესი, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრეები არის 2.4 და 1.9 მგვტ და 2021 წელს მათი მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ჯამურმა რაოდენობამ 12,412,159 კვტ/სთ შეადგინა [24].

ქ. თელავში ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი გადის, რომელიც სოფ. დუისთან (ახმეტის მუნიციპალიტეტი) იღებს სათავეს და გურჯაანის მუნიციპალიტეტში სრულდება. იგი ახმეტის, თელავის და გურჯაანის მუნიციპალიტეტების 67,300 ჰა ფართობის მოსარწყავად გამოიყენება. ამ არხის მიწის მორწყვის მიზნით გამოყენება წელიწადის გაზაფხული-ზაფხულის პერიოდის რამდენიმე თვის განმავლობაში ხდება, ხოლო წელიწადის დანარჩენი პერიოდი ეს არხი უფუნქციოა. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის საერთო სიგრძე არის 135,8 კმ, საიდანაც სათავე ნაგებობიდან ქ. თელავამდე მანძილი არის 46.84 კმ, ხოლო ქ. თელავიდან ქ. გურჯაანამდე - 31,16 კმ. იხ. ნახ. 3.

1990-იანი წლების დასაწყისში, ქ. თელავში ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხთან ახლომდებარე ტერიტორიაზე „თელავიჰესის“ აშენება იგეგმებოდა, რომელიც წელიწადის არასარწყავი პერიოდის დროს (დაახლოებით 9 თვე) წყლით ამ არხიდან უნდა მომარაგებულიყო. 1990-იანი წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალური-ეკონომიკური კრიზისიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი ვერ განხორციელდა. ქ. თელავსა და ამ არხის სათავე ნაგებობას შორის ახმეტის რაიონში 2014 წელს 9.12 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰესი („ახმეტაჰესი“) აშენდა, რომელიც მარაგდება იმ წყლით, რომლითაც 1990-იანი წლების საპროექტო „თელავიჰესი“ უნდა მომარაგებულიყო.

შესაბამისად, ახლანდელი მდგომარეობით, წყლის რესურსის არ ქონის გამო, ქ. თელავში ამ არხზე ჰესის მშენებლობის პერსპექტივა აღარ არსებობს. ამიტომ, უნდა მოიძებნოს ყველაზე გამართლებული ტექნიკურ-ეკონომიკური გამოსავალი, რათა ამ არხში არსებული წყლის რესურსის რაოდენობა გაიზარდოს და ქ. თელავში ჰესის დაპროექტება შესაძლებელი გახდეს.



### ნახაზი 3. ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხი

ამჟამად, ქ. თელავში არსებობს „თელავის კომპლექსური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური“, რომლის პირდაპირი დანიშნულება არის კახეთის რეგიონის მასშტაბით წყლის რესურსების გამოკვლევა. აგრეთვე, ქ. თელავში არსებობს „კახეთის მელიორაციის სამსახური“, რომელიც კახეთის რეგიონის მასშტაბით წყლის რესურსების მართვას აკონტროლებს. ამ ორ სამსახურში ვიზიტით და მათთან პირდაპირი კომუნიკაციით დადგინდა, რომ საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა



„კახეთის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია“, რომელიც კახეთის რეგიონში 11 ცალ ჰიდროლოგიურ საგუშაგოს ფლობდა. ამჟამად, ამ საგუშაგოების რიცხვი 4-მდეა შემცირებული. კვლევამ აჩვენა, რომ სოფ. დუისის სათავე ნაგებობიდან ე. თელავამდე ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის შემოგარენში არსებობს მდინარეები, რომლების ადგილმდებარეობებისა და განლაგებების გათვალისწინებით მათი წყლის გარკვეული რაოდენობის ამ არხში შემოშვება არის შესაძლებელი. ეს მდინარეებია: „მაწანწრის ხევი“, „თურდო“, „ხოდაშენიხევი“, „ხევის ჭალა“ და „ილტო“. ამ მდინარეებიდან მხოლოდ მდ. „ილტო“ არის არასეზონური, დანარჩენი ოთხი მდინარე სეზონური ხასიათისაა და მოედინება მხოლოდ გაზაფხული-ზაფხულის პერიოდებში - წლის დანარჩენ პერიოდებში წყლის ხარჯი ან უმნიშვნელოდ ცოტაა ან საერთო არ არის. ამის მიზეზი არის ის, რომ ამ ოთხი მდინარის სათავეები განლაგებულია გომბორის ქედის მთებში, ხოლო მდ. „ილტო“ კავკასიონის მთებში. გომბორის ქედს კავკასიონისგან განსხვავებით მყინვარები არ აქვს, რაც მის შემოგარენში არსებული მდინარეების სეზონური ხასიათის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია.

კვლევა გაგრძელდა მდ. „ილტო“-ზე, რათა მისი საშუალო ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი წელიწადის 12 თვეზე დადგენილიყო. მდ. „ილტო“, რომელიც ალაზნის მარჯვენა შენაკადია, კახეთის ქედის სამხრეთ აღმოსავლეთის კალთაზე ზღვის დონიდან 2133,6 მ სიმაღლეზე იღებს სათავეს. მდინარის სიგრძე 45 კმ-ს შეადგენს, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 337,3 კმ<sup>2</sup>-ს. მდინარე ილტო თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით იკვებება. გაზაფხულის პერიოდში მდინარე უხვწყლიანობით ხასიათდება, ხოლო ზამთარში - შედარებით წყალმცირობით. აღსანიშნავია, რომ ზაფხულსა და შემოდგომაზე წყალმოვარდნები ახასიათებს [25].

ჰიდროლოგიურ საგუშაგო - „საბუე“-ს მიერ მდ. „ილტო“-ზე 1951-1986 წლებში ჰიდროლოგიური დაკვირვების შედეგად, საშუალო

მრავალწლიურმა წყლის ხარჯმა 5,22 მ<sup>3</sup>/წმ შეადგინა [26]. კლიმატური პირობების მკვეთრი ცვლილებებიდან გამომდინარე, მდ. „ილტო“-ს ეს 35 წლის წინანდელი ინფორმაცია კვლევის გასაგრძელებლად ვერ გამოდგება. სამწუხაროდ, „თელავის კომპლექსური ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური“ ამ მდინარეზე დაკვირვებას 1986 წლის შემდეგ აღარ აწარმოებს და შესაბამისად, მასზე სეზონური წყლის ხარჯის განახლებული ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს. ამიტომ, „კახეთის მელიორაციის სამსახური-ს“ თანამშრომლებთან ერთად დაიგეგმა ექსპედიციური კვლევები წელიწადის ყველაზე წყალმცირე და წყალუბვ პერიოდებში - 2022 წლის თებერვლიდან მაისის ჩათვლით. ექსპედიციური კვლევები ჩატარდა ამ ოთხი თვის ბოლო რიცხვებში, რის დროსაც წყლის ნაკადის მზომი ხელსაწყო (OTT MF pro) იქნა გამოყენებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციური კვლევა ჩატარდა სოფ. „ჩაჩხვიალა“-სთან ახლოს, იმ ადგილას სადაც წყალმიმღების აშენების შესაძლებლობა არსებობს. საპროექტო წყალმიმღებიდან ამ არხამდე მანძილი არის 1.2 კმ და ერთმანეთს მილსადენით ან ღია არხით უნდა დაუკავშირდეს, რათა მდ. „ილტო“-ს წყლის ნაკადის გარკვეული რაოდენობის ძველ მაგისტრალურ არხში შეშვება მოხდეს, იხ. ნახ.4:



ნახაზი 4. მდ. ილტოსთან საპროექტო წყალმიმღების და საირიგაციო არხის განლაგება

ნახ. 4-ში ჩანს ექსპედიციური კვლევის ჩატარების ადგილი, სადაც როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მკვლევარის მიერ წყლის ნაკადის მზომი ხელსაწყოთი მდ. „ილტო“-ს წყლის ნაკადის ოთხი თვის მოცულობა გაიზომა, შედეგები იხ. ცხრ. 7-ში:

#	თვე	წყლის ხარჯი მ <sup>3</sup> /წმ
1	თებერვალი	1.27
2	მარტი	1.73
3	აპრილი	3.17
4	მაისი	4.19

**ცხრილი 7. ექსპედიციური კვლევის შედეგები**

ექსპედიციური კვლევის მონაცემები მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში შეგროვდა, რაც საკმარისი არ არის და საჭიროა დანარჩენი 8 თვის მონაცემებიც არსებობდეს, რათა საპროექტო ჰესის მთელი წლის განმავლობაში გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობა ზუსტად განისაზღვროს. შესაბამისად, ექსპედიციური კვლევის ჩატარების დროს, „კახეთის მელიორაციის სამსახურის“ თანამშრომლებისა და სოფ. „ჩაჩხრიალას“ ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვით, გასული წლების ისტორიული გამოცდილებები იქნა მხედველობაში მიღებული და მათი გათვალისწინებით მდ. „ილტოს“ წყლის ნაკადის დარჩენილი რვა თვის მონაცემები დაახლოებით განისაზღვრა, შედეგები იხ. ცხრ. 8-ში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაკეთდა დაშვება, რომ ყოველი თვის ბოლო რიცხვისთვის რა წყლის ხარჯიც დაფიქსირდა, თვეების დანარჩენ დღეებშიც იგივე წყლის ხარჯი იქნებოდა. ცხადია, ამ დაშვებაში და ზემოთ ნახსენებ 8 თვის მონაცემების განსაზღვრის მეთოდში ცდომილებები იქნება და შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს. თუმცა, მდ. „ილტო“-ზე წყლის ნაკადის ოფიციალური ინფორმაციის არ ქონის პირობებში, ზოგადი

სურათის შესაქმნელად და საპროექტო ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის დღიური, თვიური და წლიური რაოდენობების დასადგენად, მსგავსი დაშვებების გაკეთება მიზანშეწონილად ჩაითვალა.

#	თვე	წყლის ხარჯი მ <sup>3</sup> /წმ
1	იანვარი	1.16
2	თებერვალი	1.27
3	მარტი	1.73
4	აპრილი	3.17
5	მაისი	4.19
6	ივნისი	4.68
7	ივლისი	4.02
8	აგვისტო	3.34
9	სექტემბერი	2.70
10	ოქტომბერი	1.86
11	ნოემბერი	1.24
12	დეკემბერი	1.21
13	წლიური საშუალო	2.54

ცხრილი 8. მდ. ილტოს წყლის ნაკადის რესურსები

### 3.6 საპროექტო ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრა

ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რაოდენობის დასადგენად, ქვეთავ-2.3-ში განხილული არის ჰესის სიმძლავრის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც შემდეგი ფორმულა იქნა გამოყენებული:

$$P_{ჰეს} = G \cdot H_{\text{ე}} \cdot Q \cdot \eta_{\text{ე}} \cdot \eta_{\text{გენ}} \quad (72)$$

ამ ფორმულის თითოეული მნიშვნელი შემდეგნაირად გამოანგარიშდება:

- $G$  არის დედამიწის გრავიტაციული მიზიდულობის ძალით გამოწვეული აჩქარება (თავისუფალი ვარდნა), რომელიც მუდმივი სიდიდეა და 9,81-ის ტოლია.
- $H_6$  არის ტურბინის ფრთებში წყლის შესვლის კვეთში არსებული ნეტო დაწნევა და მისი სიდიდის განსაზღვრად, პირველ რიგში, აუცილებელია ზედა და ქვედა ბიეფების ადგილმდებარეობები დადგინდეს. ამ შემთხვევაში ზედა ბიეფი იქნება ქ. თელავში საპროექტო წყალსაცავი, სადაც წყალი საპროექტო წყალმიმღებიდან უნდა შევიდეს. ქვედა ბიეფი ქ. თელავში საპროექტო ჰესის საგენერატორო შენობა იქნება, რომელიც წყლის ნაკადით საპროექტო წყალსაცავიდან საპროექტო მილსადენით უნდა მომარაგდეს. საპროექტო მილსადენის სიგრძე 7.82 კმ იქნება. საპროექტო წყალმიმღების, წყალსაცავის და საგენერატორო შენობის საკოორდინატო მონაცემები იხ. ცხრ. 9-ში:




#	ობიექტი	გრძედი	განედი
1	წყალმიმღები	45,2805	41,5620
2	წყალსაცავი	45,2819	41,5626
4	საგენერატორო შენობა	45,3157	41,5934

**ცხრილი 9. ქ. თელავში საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურის კოორდინატები**

საპროექტო წყალმიმღების, წყალსაცავის, მილსადენის და საგენერატორო შენობის განლაგების გეგმა იხ. ნახ. 5-ში.

ზედა და ქვედა ბიეფების ადგილმდებარეობების დონეთა სხვაობა საშუალებას იძლევა დადგინდეს ტურბინის ფრთებში წყლის შესვლის კვეთში არსებული ნეტო დაწნევა -  $H_6$ , რომელიც “GPSControl” ხელსაწყოს მეშვეობით დადგინდა და ამ პროექტის შემთხვევაში 191 მეტრი შეადგინა.



ნახაზი 5. თელავში საპროექტო ჰესის ინფრასტრუქტურის განლაგება

➤  $Q$  არის წყლის ხარჯი, რომელიც ყოველი თვის ბოლო დღისთვის წინა ქვეთავში გამოანგარიშდა, იხ. ცხრ. 8. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცხრილშივე წყლის წლიური საშუალო ხარჯი არის დაანგარიშებული:  $Q_{\text{წლიური საშუალო}} = 2,54 \text{ მ}^3/\text{წმ}$ . ეს მაჩვენებელი ჰესის დადგმული სიმძლავრის დადგენაში იღებს მონაწილეობას, რის დროსაც სინქრონული ტურბინა-გენერატორების ტექნიკური პარამეტრების შერჩევის დროს, მათი მაქსიმალური დატვირთვით მუშაობის დროს წყლის ხარჯის ( $Q$ ) მაქსიმალური მნიშვნელობა წყლის წლიურ საშუალო ხარჯზე ( $Q_{\text{წლიური საშუალო}}$ ) მეტი არ უნდა იყოს.

➤  $\eta_{\text{ტ}}$  ტურბინის და  $\eta_{\text{გენ}}$  გენერატორის მარგი ქმედების კოეფიციენტებია, რომელთა სიდიდეები შემდეგ დიაპაზონებში მერყეობს:  $\eta_{\text{ტ}} = 0,9-0,96$ ,  $\eta_{\text{გენ}} = 0,97-0,98$ . ამ მაჩვენებლების ზუსტი მნიშვნელობის განსასაზღვრად აუცილებელია, ჩატარდეს ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და კონკრეტულ პროექტზე მორგებულ ყველაზე ოპტიმალური ტურბინა-გენერატორები და ელექტრული მოწყობილობები შეირჩეს.

ოთხი მწარმოებლის ტურბინა-გენერატორის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი ჩატარდა და მონაცემები ერთმანეთს შედარდა:


„GEPPERT“, „GUGLER“, „VAPTECH“, „VOITH“. ამ კომპანიების მიერ წარმოებული ტურბინა-გენერატორების ტექნიკურ-ეკონომიკური შედარება იხ. ცხრ. 10-ში [27]:

ტურბინა-გენერატორი	ერთეული	Geppert	Voith	Gugler	Vaptech
სრული სიძლავრე	მვა	7,5	7,5	7,5	7,5
ნომინალური სიჩქარე	rpm	429	429	428.6	428.6
გაქცევის სიჩქარე (ინერცია)	rpm	773 (მაქს 5 წთ)	782 (მაქს 5 წთ)	772 (მაქს 5 წთ)	690 (მაქს 5 წთ)
ძაბვა	ვ	10500	10500	10500	10500
იზოლაციის კლასი	-	H	F	H	H
წყლის ხარჯის ნომინალური სიდიდე	მ <sup>3</sup> /წმ	2,29	2,29	2,29	2,29
გარე ტემპერატურა	°C	40	40	40	40
აქტიური სიმძლავრის კოეფიციენტი	cosφ	0.85	0.85	0.85	0.85
გაგრილების სისტემა	-	IC 21	IC 01	IC21	IC 01
საკისარი	-	კონუსური	კონუსური	კონუსური	კონუსური
საშუალო წონა	ტ	57	43	50	66
ტურბინის მქკ	%	0,93	0,95	0,94	0,94
გენერატორის მქკ	%	0,974	0,983	0,971	0,976
ტურბინის ტიპი	-	P6V-136	P6Vi	P6V	PV6c
ფასი	€	5,037,216	4,293,900	4,547,808	4,659,421

ცხრილი 10. ტურბინა-გენერატორების მწარმოებლების შემოთავაზებები

შედარებიდან ჩანს, რომ იზოლაციის კლასის, საერთო წონის, ტურბინის მარგი ქმედების კოეფიციენტის, გენერატორის მარგი ქმედების კოეფიციენტის და ფასის მიხედვით საუკეთესო მაჩვენებელი გერმანულ კომპანია „VOITH-ს“ აქვს. შესაბამისად, შეირჩა ამ მწარმოებლის პელტონის ტიპის 2 ცალი სამფაზა სინქრონული ტურბინა-გენერატორი, რომლის ტექნიკური პარამეტრებიდან შესაძლებელია, გაირკვეს  $\eta_{ტ}$  ტურბინის და  $\eta_{გენ}$  გენერატორის მარგი ქმედების კოეფიციენტები, რომელთაც შემდეგი

მნიშვნელობები აქვთ:  $\eta_{\text{ტ}} = 0.95$ ,  $\eta_{\text{გენ}} = 0,983$ , (იხ. დან. 3). „VOITH“-ს სინქრონული ტურბინა-გენერატორის სურათი იხილეთ იხ. ნახ. 6-ში:



**ნახაზი 6. VOITH-ს წარმოებული ტურბინა-გენერატორი**

აღსანიშნავია, რომ ცხრ.-1-ში წარმოდგენილი ფასები საპროექტო ჰესის საგენერატორო შენობის ყველა მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტრული მოწყობილობის და კაბელების მონტაჟს მოიცავს. აგრეთვე, მართვის, რელეური დაცვის, ავტომატიზაციის, ელექტროენერჯის აღრიცხვის მეორადი წრედების გაწყობა და რაც მთავარია, ამ გენერატორებს იზოლირებულ რეჟიმში მუშაობის ფუნქციაც არის გათვალისწინებული.

ტურბინა-გენერატორის შერჩევის შემდეგ ცვლადი დენის ასამაღლებელი სამფაზა ორგრაგნილა ძალოვანი ტრანსფორმატორი უნდა შეირჩეს, რათა გენერატორებიდან გამომავალი 10 კვ ძაბვის 35 კვ ძაბვამდე ამაღლება მოხდეს. ძალოვანი ტრანსფორმატორების შერჩევის დროს, მათი ჯამური ნომინალური სიმძლავრე ჰესის დადგმულ სიმძლავრეზე მეტი უნდა იყოს. აგრეთვე, ამ ძალოვანი ტრანსფორმატორების შერჩევის დროს, 35კვ ძაბვის გადამცემი კაბელის მეორე მხარეს არსებული კ/ს



„კურდღელაურის“ და მიმდებარე ქსელის 35 კვ ძაბვის ძალოვანი ტრანსფორმატორების შეერთების ჯგუფებიც უნდა იქნას მხედველობაში მიღებული.

კვლევამ აჩვენა, რომ „თელასის“ და „ენერგო-პროს“ 35კვ ძაბვის ქსელებში ძირითადად უკრაინული წარმოების ტრანსფორმატორები გამოიყენება (JSC Zaporozhtransformator), მაგრამ უკრაინაში მიმდინარე პროცესების გამო ეს ქარხანა დროებით გაჩერებულია. შესაბამისად, თურქული წარმოების (ELTAS TRANSFORMATOR A.S.) 10/35 კვ ძაბვის 2 ცალი 10 მვა სიმძლავრის ძალოვანი ტრანსფორმატორი შეირჩა, რომლის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები იხ. დან-4-ში.

ძალოვანი ტრანსფორმატორის შემდეგ, შეირჩა 5 ცალი 10 კვ ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობის უჯრედი, საიდანაც 2 ცალი არის საგენერატორო, 2 ცალი სატრანსფორმატორო უჯრედი და 1 ცალი საკუთარი მოხმარების ტრანსფორმატორის უჯრედი. აგრეთვე შეირჩა, 4 ცალი 35 კვ ძაბვის გამანაწილებელი მოწყობილობის უჯრედი, საიდანაც 2 ცალი არის სატრანსფორმატორო უჯრედი, 1 ცალი 35 კვ ძაბვის მზის ელექტროსადგურიდან მომავალი კაბელის სახაზო უჯრედი და 1 ცალი ქ/ს „კურდღელაური“-სკენ მიმავალი 35 კვ ძაბვის კაბელის სახაზო უჯრედი. ამასთანავე, შეირჩა საგენერატორო შენობის ცვლადი და მუდმივი დენის ფარი და 1 ცალი დიზელ გენერატორი. ამ მოწყობილობების ძირითადი ტექნიკური პარამეტრები იხ. დან. 5-ში.

ჰესის ძირითადი ელექტრული მოწყობილობების და ფორმულა-43-ის ყველა მნიშვნელის სიდიდის დადგენის შემდეგ, საპროექტო ჰესის მიერ გამომუშავებული სიმძლავრის დღიური, თვიური და წლიური სიდიდეების გამოთვლაც გახდა შესაძლებელი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჰესის დადგმული სიმძლავრის განსაზღვრის დროს, დადგინდა წყლის წლიური საშუალო ხარჯი ( $Q_{\text{წლიური საშუალო}}$ ), რომლის მიხედვითაც სინქრონიული ტურბინა-გენერატორის მაქსიმალური წყლის ხარჯის ოდენობა განისაზღვრა. აქედან გამომდინარე, წყლის წელიწადის რამდენიმე

თვეს დადგება ისეთი მომენტები, როცა ჰესი სრული ან ნაწილობრივი დატვირთვით იმუშავებს. ეს ფაქტორი ჰესის მიერ ელექტროენერჯის გამომუშავების რაოდენობის ანგარიშების დროს აუცილებლად უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. ანგარიშები “Microsoft Excel” კომპიუტერულ პროგრამაში შესრულდა, შედეგები იხ. ცხრ. 11-ში:

#	თვე	წყლის ხარჯი 90% მ <sup>3</sup> /წმ	აგრეგატის დატვირთვის მაჩვენებელი %	საათობრივი გამომუშავება კვტ/სთ	დღიური გამომუშავება კვტ/სთ	თვიური გამომუშავება კვტ/სთ
1	იან	1.04	45	6,551	157,227	4,716,804
2	თებ	1.14	50	7,181	172,345	5,170,343
3	მარ	1.56	68	9,826	235,840	7,075,206
4	აპრ	2.85	100	14,425	346,201	10,386,039
5	მაი	3.77	100	14,425	346,201	10,386,039
6	ივნ	4.21	100	14,425	346,201	10,386,039
7	ივლ	3.62	100	14,425	346,201	10,386,039
8	აგვ	3.01	100	14,425	346,201	10,386,039
9	სექ	2.43	100	14,425	346,201	10,386,039
10	ოქტ	1.67	73	10,519	252,469.9	7,574,099
11	ნოე	1.12	49	7,055	169,321.17	5,079,635
12	დეკ	1.09	48	6,866	164,785.78	4,943,573
13	ჯამი			134,549	3,078,520	92,316,321

**ცხრილი 11. საპროექტო ჰესის აგრეგატების დატვირთვის მაჩვენებელების და გამომუშავები ელექტრო ენერჯის რაოდენობა**

თელავის რაიონის ელექტროენერჯის მოხმარების საპროგნოზო მონაცემები ამ საპროექტო ჰესის და თელავის რაიონში არებული ორი ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის საპროგნოზო მონაცემებს შედარდა, შედეგები იხ. ცხრ. 12-ში.

თვე	საათი																							
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
	მგვტ/სთ																							
იან	0.6	0.2	1.8	0.2	0.2	0.2	0	-3.71	-4.77	-5.81	-6.51	-5.81	-7.13	-7.15	-8.03	-7.13	-6.47	-6.41	-6.87	-6.07	-4.97	-5.07	-3.81	-3.33
თებ	0.4	0.4	0.9	0.9	1.5	0.7	1.1	-1.74	-3.82	-4.6	-5.7	-5.64	-6.38	-5.94	-6.82	-7.2	-6.14	-6.54	-5.18	-5.5	-4.14	-4.44	-3.22	-2
მარ	2.1	2.8	2.8	3.7	2.7	3.8	3	0.87	-1.11	-1.29	-1.25	-2.35	-3.81	-2.33	-2.29	-2.29	-2.29	-3.25	-2.29	-2.87	-1.35	-1.71	-0.53	0.49
აპრ	7.6	7.7	8	7.7	7.7	7.3	7.6	5.51	4.05	3.39	2.35	3.25	2.29	1.87	3.79	3.71	3.61	2.07	3.23	2.27	3.07	3.71	4.39	5.47
მაი	8.3	8	7.8	8.2	9	9.07	6.71	5.83	4.19	2.73	2.17	2.87	3.59	3.11	3.17	3.19	3.07	3.21	2.13	1.97	2.73	3.35	4.51	5.77
ივნ	6.6	6.4	7	8	8	7.99	7.19	5.51	4.49	2.93	1.39	0.55	1.87	1.97	0.51	1.57	2.19	1.89	0.61	1.57	3.57	4.35	5.73	6.49
ივლ	6.5	6.6	8.3	8.3	9.4	6.75	6.93	4.61	3.53	2.23	1.27	-0.21	-0.67	0.49	0.93	-0.91	-1.23	-1.27	-1.11	0.15	0.59	3.55	4.33	5.33
აგვ	5.9	6	6.8	6.8	6.8	6.8	6.19	4.03	2.35	1.51	1.03	-0.21	-0.79	-0.77	-0.15	-0.97	-1.13	-0.15	-1.23	0.57	0.91	2.61	3.31	4.31
სექ	7.5	6.6	6.6	7.8	8.1	8	6.97	4.35	2.29	2.25	1.55	1.07	0.97	-0.17	0.83	-0.05	0.89	0.49	1.39	1.05	3.13	4.03	5.09	6.15
ოქტ	3.4	3.6	2.8	3.1	3.4	4.6	2.03	1.39	0.07	-1.15	-2.09	-2.37	-2.51	-3.19	-3.15	-2.55	-2.71	-2.95	-2.05	-1.41	-0.79	0.19	0.43	1.61
ნოე	0.4	1.7	1.7	1.7	1.7	1.7	0.8	0.4	-4.45	-5.47	-5.95	-6.19	-4.97	-6.05	-6.01	-6.45	-6.61	-6.21	-5.93	-3.99	-4.15	-3.15	-2.47	-1.25
დეკ	0.5	1.1	1.2	1.5	1.6	1.7	0.7	0.5	-5.15	-5.55	-6.65	-6.41	-7.37	-6.75	-6.95	-7.27	-7.57	-7.85	-5.45	-5.91	-4.13	-3.41	-2.31	-2.11

ცხრილი 12. თელავის რაიონში არსებული ორი ჰესის და საპროექტო ჰესის მიერ საპროგნოზო გამომუშავებული და თელავის რაიონის მიერ საპროგნოზო ელექტროენერჯის მოხმარების ბალანსი

### 3.7 ქ. თელავში მზის რადიაციის რესურსის მოკვლევა

მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მზე რამდენიმე მილიარდი წელია რაც არსებობს, და მასზე დარჩენილი რესურსების გათვალისწინებით კიდევ რამდენიმე მილიარდი წელიწადი იარსებებს. მზეზე მიმდინარე ქიმიური პროცესების შედეგად, წყალბადის ჰელიუმი სხივურ ენერგიად გარდაიქმნება და კოსმოსში გამოიტყორცნება. მზის სიმძლავრე არის  $4 \cdot 10^{23}$  კვტ, საიდანაც დედამიწის ატმოსფეროზე მხოლოდ  $0,5 \cdot 10^9$  კვტ მოდის. გამომდინარე იქიდან, რომ კოსმოსში ვაკუუმური სივრცეა, მზიდან გამოტყორცნილი სხივი დედამიწის ატმოსფერომდე მოღწევაში ენერგიას არ კარგავს. დედამიწის ატმოსფეროს 1 მ<sup>2</sup> ზედაპირზე მოსული მზის სხივის ენერგია 1,321-1,413 კვტ/მ<sup>2</sup> დიაპაზონში მერყეობს. დედამიწის ატმოსფეროს ზედაპირიდან მზიდან მოსული სხივური ენერგიის 30% აირეკლება და უკან კოსმოსის სივრცეში ბრუნდება, ხოლო დანარჩენი 70% დედამიწის ატმოსფეროში შემოდის და შესაბამისად ნაწილდება. დედამიწის ზედაპირს აღწევს ატმოსფეროში შემოსული მზის სხივის ენერგიის დაახლოებით ნახევარი, დანარჩენი ენერგიის ნაწილით ჰაერი თბება, წყალი ორთქლდება, ძალიან მცირე ნაწილი ჰაერის/წყლის მასების მოძრაობას და მცენარეების ფოტოსინთეზის რეაქციას ხმარდება [28].

დედამიწის ზედაპირზე მზის რადიაციის რაოდენობის დადგენისთვის პირველ რიგში, აუცილებელია, ადგილმდებარეობა შეირჩეს და მისი საკოორდინატო მონაცემები განისაზღვროს. შეირჩა ქ. თელავში საპროექტო ჰესის მიმდებარე ტერიტორია, სადაც საპროექტო მზის ელექტროსადგური უნდა განლაგდეს. საკოორდინატო მონაცემები “GPSControl” ხელსაწყოს გამოყენებით დადგინდა.

მზის რადიაციის სიდიდის განსასაზღვრად წელიწადის ყველა თვის ბოლო რიცხვი შეირჩა და ქვეთავ-2.1-ში წარმოდგენილ მეთოდოლოგიაზე

დაყრდნობით, გამოთვლები „Microsoft Excel“ კომპიუტერულ პროგრამაში შესრულდა, ყოველთვიური შედეგები იხ. ცხრ. 14-25.

ამ ანგარიშების ჩატარების შემდეგ, ყოველი თვის ბოლო რიცხვისთვის განისაზღვრა ფორმულა-24-ის დახრილ ზედაპირზე მზის გამოსხივების საშუალო სიდიდეებიც ( $H_T$ ), იხ. ცხრ. 13.

საათი	31იან	28თებ	31მარტ	30აპრ	31მაი	30ივნ	31ივლ	31აგვ	30სე	31ოქ	30ნოვ	31დეკ
თი	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>	ვტ/მ <sup>2</sup>
1	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
3	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
4	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
5	0	0	0	0.12	20,1	0.21	0.2	0.11	0	0	0	0
6	0	0	0	0,1	1900	140,3	167,5	148,9	0	0	0	0
7	0	0,1	128,4	208,4	301,5	253,1	289,4	269,7	0,9	0,1	0	0
8	80,5	160,1	238,9	35,4	720,5	355,1	380,1	360,8	120,9	90,1	11,2	0,2
9	177	254,2	344,1	450,9	580,1	680,5	607,5	510	670,2	297,6	154,1	101
10	284,1	391,5	505,5	605,4	725,9	670,5	750,5	668,7	305,7	340,8	287,2	218
11	420,6	530,3	632	730,1	823,5	805,6	860,3	792,2	470,5	460,1	369,1	330
12	501,2	610,8	706,8	803,9	860,6	890,8	930,7	870,8	601,5	550,5	437,1	408,6
13	545	656	765	849	850,1	935,9	985,1	911,4	707,0	601,9	482,6	442,2
14	535,2	645,4	754,0	837,4	788,8	926,8	978,3	900,4	748,5	590,5	470,7	429,6
15	474,7	584,0	691,7	776,7	681,0	868,2	921,4	842,2	737,8	529,8	412,7	372,5
16	368,1	476,0	583,1	671,7	534,0	764,1	818,4	740,8	675,5	424,0	312,4	274,7
17	269,9	328,7	435,6	529,81	357,7	621,6	676,2	603,0	566,0	280,3	228,4	217,2
18	0	278,3	259,2	360,5	241,0	450,4	504,5	438,2	260,1	251,2	0	0
19	0	0	249,9	231,8	257,7	262,2	315,1	257,7	0	0	0	0
20	0	0	0	0	220,8	242,9	215,7	220,8	0	0	0	0
21	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
22	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
23	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
24	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
<b>ჯამი</b>	<b>3664.41</b>	<b>4913.52</b>	<b>6321.94</b>	<b>7380.06</b>	<b>8538.82</b>	<b>9307.21</b>	<b>8720.33</b>	<b>7390.54</b>	<b>5434.61</b>	<b>4424.42</b>	<b>3125.81</b>	<b>2833.08</b>

ცხრილი 13. საპროექტო მზის ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მზის რადიაციის რაოდენობა

დრო	( $\omega^\circ$ )	$\omega(\text{rad})$	Cos( $\theta$ )	( $\theta^\circ$ )	Cos( $\theta_z$ )	( $\theta^\circ z$ )	Rb	( $G_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	( $H_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	H(ave) ვტ/მ <sup>2</sup>	Hd ვტ/მ <sup>2</sup>	Hb ვტ/მ <sup>2</sup>	პირ.სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	გაფანტული სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	მიწის არეკლილი ვტ/მ <sup>2</sup>	Ht ვტ/მ <sup>2</sup>
1	-165.0	-2.9	-0.9	152.1	-0.9	154.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
2	-150.0	-2.6	-1.0	165.3	-0.8	146.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
3	-135.0	-2.4	-1.0	173.9	-0.7	135.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
4	-120.0	-2.1	-1.0	164.4	-0.6	124.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
5	-105.0	-1.8	-0.9	151.2	-0.4	113.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
6	-90.0	-1.6	-0.7	137.6	-0.2	102.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7	-71.7	-1.3	-0.5	121.2	0.0	90.0	-7.0	0.1	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.09
8	-60.0	-1.0	-0.4	110.8	0.1	82.5	-2.7	185.0	185.0	94.3	39.6	54.8	0.0	54.7	29.7	165.73
9	-45.0	-0.8	-0.1	97.7	0.3	73.9	-0.5	390.0	390.0	198.9	83.5	115.4	0.0	115.4	62.6	341.2
10	-30.0	-0.5	0.1	85.0	0.4	67.1	0.2	547.3	547.3	279.1	117.1	162.0	36.4	162.0	87.8	533.3
11	-15.0	-0.3	0.3	73.0	0.5	62.7	0.6	646.2	646.2	329.6	138.3	191.3	121.8	191.2	103.7	749.7
12	0.0	0.0	0.5	62.1	0.5	61.1	1.0	679.9	679.9	346.8	145.5	201.3	194.9	201.2	109.1	886.8
13	15.0	0.3	0.6	53.0	0.5	62.7	1.3	646.2	646.2	329.6	138.3	191.3	250.7	191.2	103.7	946.8
14	30.0	0.5	0.7	46.8	0.4	67.1	1.8	547.3	547.3	279.1	117.1	162.0	285.4	162.0	87.8	931.5
15	45.0	0.8	0.7	44.6	0.3	73.9	2.6	390.0	390.0	198.9	83.5	115.4	296.7	115.4	62.6	840.3
16	60.0	1.0	0.7	47.1	0.1	82.5	5.2	185.0	185.0	94.3	39.6	54.8	283.7	54.7	29.7	671.1
17	70.5	1.2	0.6	51.3	0.0	89.2	43.0	20.5	20.5	10.4	4.4	6.1	260.6	6.1	3.3	505.2
18	90.0	1.6	0.5	62.8	-0.2	102.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
19	105.0	1.8	0.3	73.8	-0.4	113.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
20	120.0	2.1	0.1	85.9	-0.6	124.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
21	135.0	2.4	-0.1	98.6	-0.7	135.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	150.0	2.6	-0.4	111.7	-0.8	146.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
23	165.0	2.9	-0.6	125.1	-0.9	154.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
24	180.0	3.1	-0.8	138.6	-0.9	157.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ცხრილი 14. იანვრის თვის მზის რადიაციის შედეგები

დრო	( $\omega^\circ$ )	$\omega(\text{rad})$	$\text{Cos}(\theta)$	( $\theta^\circ$ )	$\text{Cos}(\theta_z)$	( $\theta^\circ z$ )	Rb	( $G_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	( $H_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	H(ave) ვტ/მ <sup>2</sup>	Hd ვტ/მ <sup>2</sup>	Hb ვტ/მ <sup>2</sup>	პირ.სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	გაფანტული სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	მიწის არეკლილი ვტ/მ <sup>2</sup>	Ht ვტ/მ <sup>2</sup>
1	-165.0	-2.9	-0.8	148.0	-0.8	145.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
2	-150.0	-2.6	-0.9	159.2	-0.7	138.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
3	-135.0	-2.4	-1.0	164.4	-0.6	129.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
4	-120.0	-2.1	-0.9	158.6	-0.5	118.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
5	-105.0	-1.8	-0.8	147.1	-0.3	107.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
6	-90.0	-1.6	-0.7	134.2	-0.1	96.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7	-81.1	-1.4	-0.6	126.2	0.0	90.0	-6.3	0.1	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.11
8	-60.0	-1.0	-0.3	107.2	0.3	75.3	-1.2	346.7	346.7	176.8	74.2	102.6	0.0	102.6	55.6	304.85
9	-45.0	-0.8	-0.1	93.7	0.4	66.1	-0.2	554.5	554.5	282.8	118.7	164.1	0.0	164.1	89.0	475.7
10	-30.0	-0.5	0.2	80.5	0.5	58.5	0.3	714.0	714.0	364.1	152.8	211.3	67.1	211.3	114.6	685.9
11	-15.0	-0.3	0.4	67.7	0.6	53.4	0.6	814.2	814.2	415.2	174.2	241.0	153.7	241.0	130.7	893.5
12	0.0	0.0	0.6	55.7	0.6	51.6	0.9	848.4	848.4	432.7	181.5	251.1	227.8	251.1	136.1	1034
13	15.0	0.3	0.7	45.4	0.6	53.4	1.2	814.2	814.2	415.2	174.2	241.0	284.4	241.0	130.7	1106
14	30.0	0.5	0.8	37.8	0.5	58.5	1.5	714.0	714.0	364.1	152.8	211.3	319.6	211.3	114.6	1108
15	45.0	0.8	0.8	35.1	0.4	66.1	2.0	554.5	554.5	282.8	118.7	164.1	331.0	164.1	89.0	1034
16	60.0	1.0	0.8	38.2	0.3	75.3	3.1	346.7	346.7	176.8	74.2	102.6	317.8	102.6	55.6	877.1
17	75.0	1.3	0.7	46.0	0.1	85.6	9.1	104.7	104.7	53.4	22.4	31.0	281.0	31.0	16.8	613.9
18	79.5	1.4	0.7	49.0	0.0	88.8	32.2	27.8	27.8	14.2	6.0	8.2	265.7	8.2	4.5	558.1
19	105.0	1.8	0.4	68.6	-0.3	107.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
20	120.0	2.1	0.1	81.4	-0.5	118.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
21	135.0	2.4	-0.1	94.7	-0.6	129.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	150.0	2.6	-0.3	108.1	-0.7	138.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
23	165.0	2.9	-0.5	121.7	-0.8	145.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
24	180.0	3.1	-0.7	135.1	-0.8	147.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ცხრილი 15. თებერვლის თვის მზის რადიაციის შედეგები

დრო	( $\omega^\circ$ )	$\omega(\text{rad})$	$\text{Cos}(\theta)$	( $\theta^\circ$ )	$\text{Cos}(\theta_z)$	( $\theta^\circ_z$ )	Rb	( $G_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	( $H_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	H(ave) ვტ/მ <sup>2</sup>	Hd ვტ/მ <sup>2</sup>	Hb ვტ/მ <sup>2</sup>	პირ.სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	გაფანტული სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	მიწის არეკლილი ვტ/მ <sup>2</sup>	Ht ვტ/მ <sup>2</sup>
1	-165.0	-2.9	-0.8	141.0	-0.7	134.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
2	-150.0	-2.6	-0.9	150.0	-0.6	129.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
3	-135.0	-2.4	-0.9	153.4	-0.5	120.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
4	-120.0	-2.1	-0.9	149.5	-0.4	111.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
5	-105.0	-1.8	-0.8	140.3	-0.2	100.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
6	-91.1	-1.6	-0.6	129.5	0.0	90.0	-2.4	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.078
7	-75.0	-1.3	-0.4	115.8	0.2	78.1	-2.1	282.8	282.8	141.4	60.7	80.7	0.0	83.9	44.5	249.27
8	-60.0	-1.0	-0.2	102.5	0.4	67.3	-0.6	528.3	528.3	264.2	113.4	150.8	0.0	156.8	83.1	452.5
9	-45.0	-0.8	0.0	89.0	0.5	57.3	0.0	739.2	739.2	369.6	158.6	211.0	6.8	219.3	116.3	628.6
10	-30.0	-0.5	0.3	75.5	0.7	48.8	0.4	901.0	901.0	450.5	193.3	257.2	98.0	267.4	141.7	889.6
11	-15.0	-0.3	0.5	62.1	0.7	42.8	0.6	1002.7	1002.7	501.3	215.1	286.2	182.7	297.5	157.8	1078
12	0.0	0.0	0.7	49.2	0.8	40.7	0.9	1037.4	1037.4	518.7	222.6	296.1	255.2	307.8	163.2	1195
13	15.0	0.3	0.8	37.3	0.7	42.8	1.1	1002.7	1002.7	501.3	215.1	286.2	310.6	297.5	157.8	1246
14	30.0	0.5	0.9	27.9	0.7	48.8	1.3	901.0	901.0	450.5	193.3	257.2	345.0	267.4	141.7	1231
15	45.0	0.8	0.9	24.1	0.5	57.3	1.7	739.2	739.2	369.6	158.6	211.0	356.1	219.3	116.3	1150
16	60.0	1.0	0.9	28.4	0.4	67.3	2.3	528.3	528.3	264.2	113.4	150.8	343.3	156.8	83.1	1001
17	75.0	1.3	0.8	38.1	0.2	78.1	3.8	282.8	282.8	141.4	60.7	80.7	307.3	83.9	44.5	779.6
18	90.0	1.6	0.6	50.1	0.0	89.2	45.5	19.3	19.3	9.6	4.1	5.5	250.5	5.7	3.0	486.6
19	90.8	1.6	0.6	50.7	0.0	89.8	145.6	5.9	5.9	3.0	1.3	1.7	247.2	1.8	0.9	470.2
20	105.0	1.8	0.5	63.0	-0.2	100.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
21	135.0	2.4	0.0	90.0	-0.5	120.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	150.0	2.6	-0.2	103.5	-0.6	129.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
23	165.0	2.9	-0.5	116.7	-0.7	134.8	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
24	180.0	3.1	-0.6	129.5	-0.7	136.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ცხრილი 16. მარტის თვის მზის რადიაციის შედეგები



დრო	( $\omega^\circ$ )	$\omega(\text{rad})$	$\text{Cos}(\theta)$	( $\theta^\circ$ )	$\text{Cos}(\theta_z)$	( $\theta^\circ_z$ )	Rb	( $G_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	( $H_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	H(ave) ვტ/მ <sup>2</sup>	Hd ვტ/მ <sup>2</sup>	Hb ვტ/მ <sup>2</sup>	პირ.სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	გაფანტული სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	მიწის არეკლილი ვტ/მ <sup>2</sup>	Ht ვტ/მ <sup>2</sup>
1	-165.0	-2.9	-0.7	132.1	-0.6	123.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
2	-150.0	-2.6	-0.8	139.2	-0.5	118.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
3	-135.0	-2.4	-0.8	141.7	-0.4	111.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
4	-120.0	-2.1	-0.8	138.8	-0.2	102.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
5	-105.0	-1.8	-0.7	131.5	0.0	92.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
6	-101.9	-1.8	-0.6	129.6	0.0	90.0	-3.2	0.3	0.3	0.1	0.1	0.1	0.0	0.1	0.0	0.228
7	-75.0	-1.3	-0.3	109.7	0.3	70.3	-1.0	461.6	461.6	226.2	99.2	126.9	0.0	137.3	71.2	396.36
8	-60.0	-1.0	-0.1	97.1	0.5	59.2	-0.2	701.0	701.0	343.5	150.7	192.8	0.0	208.4	108.1	585.06
9	-45.0	-0.8	0.1	84.0	0.7	48.5	0.2	906.6	906.6	444.2	194.9	249.3	39.2	269.6	139.8	799.9
10	-30.0	-0.5	0.3	70.6	0.8	38.9	0.4	1064.3	1064.3	521.5	228.8	292.7	124.8	316.5	164.1	1033
11	-15.0	-0.3	0.5	57.1	0.9	31.7	0.6	1163.5	1163.5	570.1	250.2	319.9	204.4	346.0	179.4	1200
12	0.0	0.0	0.7	43.6	0.9	28.9	0.8	1197.3	1197.3	586.7	257.4	329.3	272.5	356.1	184.6	1304
13	15.0	0.3	0.9	30.4	0.9	31.7	1.0	1163.5	1163.5	570.1	250.2	319.9	324.5	346.0	179.4	1347
14	30.0	0.5	0.9	18.4	0.8	38.9	1.2	1064.3	1064.3	521.5	228.8	292.7	356.9	316.5	164.1	1332
15	45.0	0.8	1.0	12.4	0.7	48.5	1.5	906.6	906.6	444.2	194.9	249.3	367.3	269.6	139.8	1259
16	60.0	1.0	0.9	19.2	0.5	59.2	1.8	701.0	701.0	343.5	150.7	192.8	355.2	208.4	108.1	1124
17	75.0	1.3	0.9	31.3	0.3	70.3	2.5	461.6	461.6	226.2	99.2	126.9	321.4	137.3	71.2	923.5
18	90.0	1.6	0.7	44.5	0.1	81.4	4.8	204.6	204.6	100.3	44.0	56.3	268.1	60.8	31.5	658.5
19	100.5	1.8	0.6	54.0	0.0	89.0	33.9	23.7	23.7	11.6	5.1	6.5	221.2	7.0	3.7	438.3
20	120.0	2.1	0.3	71.6	-0.2	102.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
21	135.0	2.4	0.1	85.0	-0.4	111.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	150.0	2.6	-0.1	98.0	-0.5	118.6	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
23	165.0	2.9	-0.4	110.6	-0.6	123.5	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
24	180.0	3.1	-0.5	122.2	-0.6	125.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

ცხრილი 17. აპრილის თვის მზის რადიაციის შედეგები

დრო	( $\omega^\circ$ )	$\omega(\text{rad})$	Cos( $\theta$ )	( $\theta^\circ$ )	Cos( $\theta_z$ )	( $\theta^\circ_z$ )	Rb	( $G_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	( $H_0$ ) ვტ/მ <sup>2</sup>	H(ave) ვტ/მ <sup>2</sup>	Hd ვტ/მ <sup>2</sup>	Hb ვტ/მ <sup>2</sup>	პირ.სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	გაფანტული სხივი ვტ/მ <sup>2</sup>	მიწის არეკლილი ვტ/მ <sup>2</sup>	Ht ვტ/მ <sup>2</sup>
1	-165.0	-2.9	-0.6	125.6	-0.4	115.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
2	-150.0	-2.6	-0.7	131.7	-0.4	111.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
3	-135.0	-2.4	-0.7	133.7	-0.3	104.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
4	-120.0	-2.1	-0.7	131.3	-0.1	96.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
5	-110.0	-1.9	-0.6	127.5	0.0	90.0	-1.1	0.5	0.5	0.2	0.1	0.1	0.0	0.1	0.1	0.454
6	-90.0	-1.6	-0.4	116.0	0.2	76.2	-1.8	325.7	325.7	162.8	69.9	93.0	0.0	96.6	51.2	285.6
7	-75.0	-1.3	-0.3	105.2	0.4	65.3	-0.6	571.8	571.8	285.9	122.7	163.2	0.0	169.7	90.0	487.24
8	-60.0	-1.0	-0.1	93.3	0.6	54.1	-0.1	801.2	801.2	400.6	171.9	228.7	0.0	237.8	126.1	663.96
9	-45.0	-0.8	0.2	80.7	0.7	43.1	0.2	998.2	998.2	499.1	214.2	284.9	62.7	296.2	157.0	902.9
10	-30.0	-0.5	0.4	67.7	0.8	32.8	0.5	1149.3	1149.3	574.7	246.6	328.1	147.9	341.1	180.8	1121
11	-15.0	-0.3	0.6	54.4	0.9	24.5	0.6	1244.3	1244.3	622.2	267.0	355.2	227.0	369.2	195.8	1278
12	0.0	0.0	0.8	40.9	0.9	20.9	0.8	1276.7	1276.7	638.4	273.9	364.4	294.7	378.9	200.9	1375
13	15.0	0.3	0.9	27.4	0.9	24.5	1.0	1244.3	1244.3	622.2	267.0	355.2	346.4	369.2	195.8	1417
14	30.0	0.5	1.0	14.0	0.8	32.8	1.2	1149.3	1149.3	574.7	246.6	328.1	378.6	341.1	180.8	1405
15	45.0	0.8	1.0	4.5	0.7	43.1	1.4	998.2	998.2	499.1	214.2	284.9	389.0	296.2	157.0	1338
16	60.0	1.0	1.0	14.9	0.6	54.1	1.6	801.2	801.2	400.6	171.9	228.7	377.0	237.8	126.1	1214
17	75.0	1.3	0.9	28.4	0.4	65.3	2.1	571.8	571.8	285.9	122.7	163.2	343.4	169.7	90.0	1029
18	90.0	1.6	0.7	41.9	0.2	76.2	3.1	325.7	325.7	162.8	69.9	93.0	290.4	96.6	51.2	783.7
19	105.0	1.8	0.6	55.4	0.1	86.7	9.8	79.5	79.5	39.8	17.1	22.7	221.7	23.6	12.5	484
20	108.0	1.9	0.5	58.1	0.0	88.7	22.7	31.8	31.8	15.9	6.8	9.1	206.4	9.4	5.0	488.7
21	135.0	2.4	0.1	81.7	-0.3	104.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
22	150.0	2.6	-0.1	94.2	-0.4	111.4	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
